# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 23 ივლისი 1999 №138 (911) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ველური დივიზია

გაზეთმა „იზვესტიამ“ ვლადიკავკაზის „ალანიას“ სკანდალური წერილი გამოუცხო

## მფრინავი ჰოლანდიელი რჩება

ლუის ვან გაალმა „ბარსელონასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა

## ემვერესტელები

## აფი გიგანი

ოცნების მწვერვალზე ასული კაცი

## საქართველო — საფრანგეთი 91:94

# ფრანგებმა ისევ მოგვიგეს

### ბერძნებმა და იუგოსლავიელებმა ქართველებს უჩივლეს, უფროსებს ათამაშებენო

თუკი სხვადასხვა ევროპული საგენტოებისას ვირწმუნებთ, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შემდეგ საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრებს უსიამოვნო ამბავი შეემთხვა: მეოთხედ-ფინალების წინ დღეს იუგოსლავიისა და საბერძნეთის დელეგაციებმა ფიბაში პროტესტი შეიტანეს, საქართველოს ნაკრების ორი მოთამაშე დასაშვებ ასაკზე უფროსია და დასაჯეთო.

მომჩივანთა მტკიცებით, ჩვენი ნაკრების ასეთი წევრები კოტე ტულუში და ზაურ (ზაზა) ფაჩულია არიან. მოგახსენებთ, რომ კადეტებად 1983 და მომდევნო წლებში დაბადებულები ითვლებიან.

კალათბურთის მმართველი ორგანოს წარმომადგენლებმა შეამოწმეს ტულუშისა და ფაჩულიას პასპორტები და ფიბას სალიცენზიო ბარათები... იუგოსლავიელებმა და ბერძნებმა პროტესტი უკან ვაიტანეს, რადგან ქართველ კალათბურთელთა საბუთები სრულ წესრიგში იყო.

შესაძლოა, ყოველივე ამან უკვალოდ არ ჩაიარა და ჯგუფური ეტაპის დაძლევის შემდეგ ქართველები გუშინ მეოთხედფინალში 91:94 დამარცხდნენ ფრანგ თანატოლებთან. არადა, პირველი ტაიმი ჩვენებმა 7 ქულით, 43:36 მოიგეს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეს ნაკრები საფრანგეთის ამავე გუნდს სამი თვის წინათაც შეხვდა და მაშინაც დამარცხდა ევროპის ამ ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

რაკი კონტინენტის საუკეთესო ოთხეულში ვერ მოვხვდით, ისღა დაგვრჩენია, მეხუთე ადგილისთვის ვიბრძოლოთ. საამისოდ ქართველებმა ჯერ ხვალ ლატვიელებს უნდა მოუგონ, მერე კი...

დანარჩენი მეოთხედფინალები ასე დასრულდა:

**საბერძნეთი 78:73 ესპანეთი**

**თურქეთი 65:64 მაკედონია**

**იუგოსლავია 77:62 ლატვია**

დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ:

**საბერძნეთი — თურქეთი**

**იუგოსლავია — საფრანგეთი**

Under 18

# ბევრი დაკარგეთ, ქართველები რომ არ ნახეთ

### ჰორტუგალია ფინალშია, საქართველოს კი ესპანეთთან მოგების შემთხვევაში საბერძნეთთან ბრინჯაოსთვის თამაშის შანსი რჩება

ემზარ ზენაიშვილი

ლინჩიოპინგიდან

ფინსპონგი ყველაზე შორსაა „ეკოქსენიდან“, დროებით ფეხბურთელთა რეზიდენციად რომ იქცა. „გროსვადი“ ტევადობით ყველაზე პატარაა — სულ 2 000 ადგილი, აქედან დასავდომი მეხუთედი თუ იქნება, ოღონდ ყველაზე დიდი სათამაშო მინდორი აქვს — 110X65მ. ესეც ხომ უმჯობეს ფიზიკურ კონდიციას ითხოვს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებისგან.

სად მოძებნიან ხოლმე ასეთ ციცქნა ქალაქებს (23 000 კაცი) და საფეხბურთო მოედნებს, ქალაქის ცენტრიდან (თუ ამას ქალაქი ჰქვია) 8-10 კილომეტრით რომაა დაშორებული და ავტობუსიც ყოველ ორ-სამ საათში ერთხელ დადის. ძალიან მოუხერხებელია ჟურნალისტთათვის განკუთვნილი ადგილები, დასავდომ რიგზე რომ მოუწყვიათ და იძულებული ხარ, ნახევრად წელში მოხრილმა წერო მატჩის მსვლელობისას.

ისე, ეძახე შენ მოუხერხებელი და იწუწუნე, ეს სად დანიშნეს კონტინენტური რანგის ტურნირიო. ჩანს, „გროსვადი“ სპორტული ცენტრია. მთავარი სტადიონის გარდა კიდევ სამი საფეხბურთო მოედანი, ექვსი ხელბურთის, ორი თუ სამი კალათბურთისა და ფრენბურთის, ამდენივეც დახურული კომპლექსი დავითვალე. ესეც შენი 23-ათასიანი ქალაქი თუ დაბა!

სტადიონზე ნაადრევად მომიწია მისვლამ და შევესწარი, როგორ გაჰქონდათ მუშებს სატელევიზიო სარეკლამო დაფები — საქართველოს გუნდის მონაწილეობით სატელევიზიო ტრანსლაცია, მგონი, აზრადაც არავის მოსვლია.

კითხვაზე, ვინ არის ირლანდიის გუნდში ნომერ პირველი მოთამაშე და ლიდერი-მეოქი, ჩემმა ირლანდიელმა კოლეგამ დარი მალონიმ ასე მიპასუხა — რა თქმა უნდა, მეკარე. ევერტონელი დინ დილანიო. საუბარს ვაგრძელებთ. დღეს ჩვენს გუნდს ძნელი დღე ექნებამეოქი. არც შეშმუშნულა, ბუტერბროდის ჭამა განაგრძო, შემომხედა და თავის დაქნევით მაგრძნობინა, აბა, სხვანაირად როგორ უნდა იყოსო. შე კაცო, ყასიდად მაინც გეთქვა — ვნახოთ, ფეხბურთია...

იხილეთ მეორე გვერდი

**THE IRISH TIMES** ON THE WEB

...თქვენ ბევრი დაკარგეთ, გუშინ ღამით ფინსპონგში რომ არ იყავით და ეს შეხვედრა არ ნახეთ. ირლანდიელმა ყმაწვილებმა ერთ-ერთი უცუდესი შეხვედრა ჩაატარეს, ქართველებს კი სულ ცოტა დააკლდათ, ევროპის ჩემპიონების დასამარცხებლად...

...მატჩის საუკეთესო ფეხბურთელ ზურაბ მენთეშაშვილს ირლანდიელთაგან ერთადერთი ჯეისონ გევინი თუ შეედრებოდა...

...ქართველებს შესარჩევ ტურნირში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი, ლიეჟის „სტანდარდში“ მოთამაშე ლაშა ჯაკობია რომ ჰყოლოდათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დილენის გაცილებით ბევრი სამუშაო ექნებოდა და კარისთვის ხიფათის აცილება უფრო მეტად გაუჭირდებოდა...

REUTERS მუტალადან

საფრანგეთი — პორტუგალია 0:1. გუშინ პორტუგალიელებმა ფინალისტობით გაიხარეს



ზურაბ აზმაიფარაშვილი

# მოჭადრაკეები ძალიან დაგვიჩაგრეს

### ამერიკის საელჩო ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილს ლას ვეგასში სათამაშოდ არ უშვებს! საქართველოს სპორტის დეპარტამენტი კი ქალებს შეპირებულ პრემიებს არ აძლევს

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

CORREN ლინჩოპინგიდან



THE IRISH INDEPENDENT ფინსპონგიდან

იტალიელი ფრანკო სემიოლი (№16) და მატია რინალდინი ესპანელებთან ბოლო, ირლანდიელი გრემ ბარეტი (№15) და კოლინ ჰელი კი ქართველებთან მატჩში პირველი გოლის მერე

# ეინის გასატეხი ევროპისთვის

## „კოპალას ბიჭებმა“ ბრიტანული კლუბების ნაკრებს ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

**აშკარაა**, ირლანდიელები საჩემპიონოდ არიან ჩამოსულნი. გულშემატკივრებიც ახლავან, ათი თუ თორმეტი ჟურნალისტიც. მატჩის დასაწყისში მაყურებლებიც მათ ამხნევებდნენ.

...ყველა დროის, ყველა ქვეყნისა და ოსტატობით ყველაზე მაღალი რანგის მეკარესაც კი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ერთხელ მაინც უთენდება „შავი დღე“. სწორედ ასეთ დღედ იქცა ზურაბ ბათიაშვილისთვის 21 ივლისი.

ზურაბს თამაშები უხსნია, ფაქტობრივად მარტოს მოუგია არა ერთი და ორი მატჩი. მის ნიჭიერებაზე და კლასზე კარგა ხანია ლაპარაკობენ სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც. ფეხბურთში ეშვიათად ხდება, მეკარე კაპიტნად აირჩიონ. ზურაბი იყო, არის და რჩება გუნდის ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერად. მაგრამ ესეც უნდა ითქვას — მისმა უხეშმა და მიუტევებელმა შეცდომებმა ჩვენებს ირლანდიელებთან მოგება და ამასთან, ფინალში მონაწილეობის შანსი დააკარგვინა. ვახტანგ კოპალეიშვილმაც და თენგიზ კაციამაც ვერ გაიხსენეს ზურაბის ასეთი სუსტი თამაში. აშკარა იყო, ბათიაშვილი სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობამ დააღალატა — ის ვერც ბურთს გრძნობდა და ვერც დისტანციას, მოწინააღმდეგის შეტევას ვერ „კითხულობდა“, სამი გაშვებული ბურთიდან ნებისმიერს თუნდაც ნორმალურ ფორმაში მყოფი ბათიაშვილი იოლად მოიგერიებდა.

ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ — 21 ივლისით ზურაბის მომავალ ხანგრძლივ საფეხბურთო კარიერაში „შავი დღის“ ლიმიტი ამოწურულიყოს.

არ ვიცი, რა ჯადო იღონა ვახტანგ კოპალეიშვილმა მატჩებს შორის ერთდღიან შუალედში, ზემოქმედების რა მაგიურ ძალას მიმართა, მაგრამ ფაქტია: 19 ივლისს იტალიასთან ჩვენი გუნდი ფეხბურთსაც „აწვალებდა“ და საკუთარ თავსაც, 21 ივლისს კი მოედანზე იყვნენ ჩინებული ოსტატები, რომელთაც ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს ინგლისისა შოტლანდიის კლუბების ნაკრებს, ირლანდიის სახელით რომ გამოდიოდა. სასტარტო შემადგენლობის 11 კაციდან 10 სწორედ მა წარმოადგენდა. კარგად იცით, რომ „ევერტონსა“ და „ლივერპულში“, „სელტიკსა“ და „მიდლსბროში“ ფეხბურთელები შემთხვევით არ ხვდებიან.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა შემადგენლობაში ძალიან გონივრული ცვლილებანი შეიტანეს, სათამაშო ტაქტიკაც კარდინალურად შეიცვალა — მიესადაგა კონკრეტულ მეტოქეს, რომელსაც თამაშის საკუთარი, განსხვავებული მანერა აქვს. სწორედ ირლანდიელთა თამაშის სტილს მოუძებნა „ოქროს გასაღები“ ვახტანგ კოპალეიშვილმა. ამჯერად ჩვენებმა სათამაშო სქემად 4-4-2 აირჩიეს. თავდასხმაში გია იმედაძეს დაუწყვილდა მისი სეხნია — მიქაძე, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი მატჩის მანძილზე არ გადმოსულა მოედნის თავის ნახევარზე. იმედაძეც იშვიათად იხევდა უკან. მათ, მართალია, ბურთი ვერ გაიტანეს, მაგრამ აქტიური თამაშით მუდმივ დაძაბულობაში ამყოფეს მცველები, თანაც სამი-ოთხი მაინც. მოკლედ, მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი შეტევაზე აქცენტირებული ნახევარმცველების ვალერი გაგუასა და ზურა მენთეშაშვილის შედეგიან თამაშს. ჩემი აზრით, გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ვალერი აბრამიძე, რომელმაც დაცვას სოლიდურობა შესძინა, სწორად ირჩევდა პოზიციას, თამაშობდა ხისტად, ჯარიმის ზღვარზე, მაგრამ წესების ფარგლებში. რაც შეეხება მესამე ლბოუტენტს — ვალერი გაგუას, რომელიც ადრე ფეხს იტკიებდა, მის მიერ გატანილი ორი გოლი ყველაფერზე ლაპარაკობს.

საოცრად გარდაიქმნენ ნახევარმცველები — მათ შეძლეს მოედნის ცენტრის „ოკუპირება“, ცდილობდნენ ეთამაშათ დასწრებაზე, გამუდმებით იბრძოდნენ ბურთისთვის მოედნის ყველა მონაკვეთზე, რამდენჯერმე, ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში, წარმატებით გამოიყენეს ბურთის ართმევის ეგრეთ წოდებული ჯგუფური მეთოდი, საოცრად იკლო ტექნიკურმა წუნმა, მოკლე პასები რიტმულად ენაცვლებოდა საშუალო და გრძელ გადაცემებს. ერთ სიამოვნებად ღირდა ჩვენების მიერ შესრულებული დახვეწილი საფეხბურთო ილეთების ცქერა. ეს ყოველივე თამაშის პრაქტიკულობის ჩარჩოებში თავსდებოდა და არამც და არამც არ იყო თვითმიზანი, მაყურებელშიც ღიმილს და ტაშს იწვევდა. იყო მომენტები, როცა ქართველები ბურთს უმალავდნენ დაბნეულ მეტოქეებს, აქეთ-იქით დაარბენინებდნენ ფავორიტად შერაცხულ ამ თქვენს ირლანდიელებს — მეორე ტაიმში კი საერთოდ ისე გააბითურეს, შეგეცოდებოდათ.

ამჯერად თავგანწირულად, შეუპოვრად ითამაშეს ოთარ ხიზანეიშვილმა, ზურაბ ხიზანიშვილმა, ედიკ საჯაიამ. მომზადების არასათანადო დონის მიუხედავად, კლასი მაინც ამბობს თავისას.

...ყოველ მატჩში კომპეტენტური ჟიური ორივე გუნდიდან ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ავლენს ხოლმე. მატჩის დამთავრებამდე რვა-ათი წუთით ადრე დიქტორმა მაყურებელს ამცნო — დღეს საუკეთესო ქართველთა მეექვსე ნომერი ზურაბ მენთეშაშვილიაო. (ისე დიქტორის ცოდვა ზურაბსა და მის გვარზეა — გამოცხადებისას ენა კინაღამ მოიტეხა).

ივლისის ეს მესამე ოთხშაბათი ნამდვილად იყო ზურაბის საფეხბურთო ბენეფისი, ადრეული ბენეფისი. მოედანზე ყველაფერი მისგან იწყებოდა და ყველაფერი მისით მთავრდებოდა. ან სად ჰქონდა ამდენი ენერგია?! რამდენი იმუშავა და როგორ?! კრიტიკულ სიტუაციაში საპასუხო გოლი, ვალერი გაგუას ასისტენტობაც გაუწია. დავუბრუნდები წინა რეპორტაჟს — სუსტებში შედარებით ნაკლებად სუსტზე რომ ვსაუბრობდი. დღეს წინ მოთამაშე ცამეტი ფეხბურთელიდან ყველა კარგი იყო, მათში ყველაზე კარგი ზურაბ მენთეშაშვილი.

ფინსპონგიდან ტურნირის ორგკომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ავტომანქანით დავბრუნდი ლინჩიოპინგში. ყურს ვუგდებდი, როგორ გადასცემდა მობილურით რომელიღაც ოფისში მატჩის ტექნიკურ შედეგებს. ბოლოს კი ასე დაამთავრა ქართველებს შორის ერთი სუპერფეხბურთელთა მეექვსე ნომერი, რომლის თამაშის ყურება ერთი სიამოვნებააო. სხვათა შორის, გვარის წარმოთქმა მასაც გაუჭირდა და მერე ასოებით უკარნახა. როცა გაიგო, სად თამაშობს ზურაბი, გაუკვირდა, ასეთი დონის გუნდია „სკონტო“, ასეთი ფეხბურთელი რომ ჰყავსო.

მოკლედ, როგორც ამბობენ, ამ სამ დღეში ჩვენი ნაკრების ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ერთი სასიამოვნო და ღირსსახსოვარი — საუკეთესო თამაში ირლანდიელებთან. მეორე — ნაკლებსასიამოვნო და დასანანი — უსუსტესი მატჩი იტალიელებთან.

ჩვენების მიერ გატანილი გოლები კი ყველა ერთი მეორეზე უკეთესი იყო. მეხუთე წუთზე (წუთის წინ ჩვენს კარში გოლი გავიდა) კუთხიდან ჩაწოდებული ირლანდიელმა მცველმა თავით მოიგერია, პირდაპირ მენთეშაშვილზე და მანაც 25-27 მეტრიდან მშვენივრად დაარტყა. ასე ნაქებმა ირლანდიელთა მეკარემ მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს. მეორე ტაიმის მე-11 წუთზე მოედნის ცენტრში მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ ზურაბ მენთეშაშვილის გადაცემას ვალერი გაგუას ზუსტი დარტყმა მოჰყვა იმ ადგილიდან, მარჯვენა ინსაიდისას რომ ეძახდნენ ადრე. მესამე გოლი უკვე მარცხენა ფრთიდან გაიტანა იმავე გაგუამ, ისიც მრავალსვლიანი კომბინაციის შედეგი იყო. ასისტენტობა ამჯერად ლევან კორღალიძემ ითავა, შემდეგ თავად გოლის ავტორმა ითამაშა ინდივიდუალურად კარგად, რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა და კარში დასარტყმელად არცთუ ხელსაყრელი ადგილიდან შორეულ კუთხეში ძალიან ეფექტური ბურთი გაიტანა. ეს იყო 86-ე წუთზე. წუთიც არ იყო გასული და... ანგარიში გათანაბრდა.

ერთზეც გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. ორივე გუნდის ფეხბურთელები ხისტად თამაშობდნენ, მატჩი, რომ იტყვიან, კონტაქტური გამოვიდა, თუმცა პრაქტიკულად არ გასცილებია კორექტული თამაშის ჩარჩოებს. ასეთი მუხტის მქონე მატჩის კვალობაზე ჩვენებმა ძალიან ცოტავჯერ დაჯარიმდნენ — სულ 6, ანუ ყოველ 15 წუთში საშუალოდ ერთი (შედარებისთვის — იტალიელებთან ჩვენები 26-ჯერ დაჯარიმდნენ, აქედან 16-ჯერ პირველ ტაიმში). ამ მხრივ უფრო „ბარაქიანი“ იყო ირლანდიელთა „მონაგარი“ — მათი უხეში თამაშის გამო ჩეხმა არბიტრმა, რომელმაც, ჩემი აზრით, საკმაოდ მაღალკვალიფიციურად იმსაჯა, 19-ჯერ გააჩერა მატჩი და თამაშის დასასრულს ტრევორ ფიტცპატრიკს ყვითელი ბარათიც უჩვენა.

მკითხელს შეიძლება შეკითხვა გაუჩნდეს — კი მაგრამ, ტურნირის ფავორიტად შერაცხული ირლანდიელების თამაში როგორიღა იყოო. მოკლედ გეტყვით — საქართველოს ნაკრების ბრწყინვალე თამაშის ფონზე ირლანდიელებმა დამთრგუნველი და ძალიან უსუსური შთაბეჭდილება დატოვეს. ამ დონის ფეხბურთით, თამაშის ასე პრიმიტიულად და სწორხაზოვნად გააზრებით ეს გუნდი ჩემპიონატის არც ერთ მედალს არ იმსახურებს. ეს შეფასება ეფუძნება მხოლოდ ამ ერთ, კონკრეტულ მატჩს (სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება იგივე ეთქვა ირლანდიელ ჟურნალისტს ჩვენი გუნდის შესახებ იტალიელებთან მატჩის შემდეგ).

მატჩისშემდეგომ პრესკონფერენციაზე ირლანდიელთა მწვრთნელი ბრაიან კერი აშკარად კმაყოფილი გახლდათ, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და თქვენ წარმოიგინეთ ოპტიმიზმი დაეტყ[illegible]

მატჩის წინა დღეს ვახტანგ კოპალეიშვილი ამბობდა, თუ ბიჭებმა შესრულეს ის, რასაც ვთხოვდი, ეს ძალა ეყოთ, ქართული ფეხბურთის პოტენციურ შესაძლებლობებს და ამ თამაშის ნიჭიერებას ყველას ვაჩვენებთო. ჩვენი კი დავამატებდით — მწვრთნელმა თამაშის უზადო სტრატეგია შეიმუშავა და შეგირდებიც კარგი შემსრულებლები აღმოჩნდნენ — მართლაც შემოქმედებითად და იმპროვიზაციულად, მაგრამ პრაგმატულად და პრაქტიკულად ითამაშეს. ამჯერადაც „ოქროს გასაღების“ ძიებაშია ვახტანგ კოპალეიშვილი. მაგრამ მოარგებენ კი ამ გასაღებს ჩვენი ბიჭები ესპანელთა კარს? ეყოფათ კი ძალა და ენერგია? ფიზიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური! ესპანელებთან სხვა თამაში იქნება, ისინი ტექნიკურადაც უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ირლანდიელები და ტაქტიკურადაც უფრო მრავალფეროვნად თამაშობენ. მათაც, ისევე როგორც ჩვენ, დასაკარგი არაფერი აქვთ. ყველას გვესმის — ძალიან ძნელია ხუთ დღეში მესამე ასეთი პრინციპული და გადამწყვეტი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება. მით უმეტეს, როცა საჩემპიონატო სამზადისი არ ჰქონიათ ჩვენებს სათანადო დონისა. ისღა დაგვრჩენია — ველოდოთ დღევანდელ საღამოს და იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ნაკრები შეუძლებელს შეძლებს და ქართულ ფეხბურთს ასახელებს.

...მატჩის მეორე ნახევარში მაყურებელთაგან აღარავინ იძახდა „აილენდ, აილენდ“ — მათი სიმპათიები უკვე ჩვენების მხარეზე იყო. მათ შორის კი ერთი გამოირჩეოდა, განუწყვეტლივ რომ გაჰყვიროდა „შაიბუ, შაიბუ“.

მოულოდნელობისგან ლაპარაკისუნარწართმეულმა ჩემმა ირლანდიელმა კოლეგამ დარი მალონმა, ამ რეპორტაჟის დასაწყისში რომ მოვიხსენიე, ამჯერადაც მხრები აიჩჩა, ხელი ჩამომართვა და უსიტყვოდ გამეცალა.

**ევროპის 18-ზლამდელთა ჩემპიონატი**

**B ჯგუფი**

**II ტური**

**ფინსპონგი 21 ივლისი**

**გროსვადი (575 მაყურებელი)**

**ირლანდია 3:3 საქართველო**

1:0 ბარეტი (4), 1:1 მენთეშაშვილი (5), 1:2 გაგუა (55), 2:2 ფიცპატრიკი (69), 2:3 გაგუა (85), 3:3 დოჰერტი (86)

**ირლანდია:** დ. დილანი, გვინი, კლარკი, ოპალორანი, პ. მერფი, მილერი, კროსლი, ჰელი, პარტრაიჯი, დოჰერტი, ბარეტი (ფიცპატრიკი 68)

**საქართველო:** ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი, ე. საჯაია, აბრამიძე, ზ. მენთეშაშვილი, დიღმელაშვილი, ო. გველესიანი (დევიძე 77), გ. მიქაძე (ლ. ნოზაძე 75), იმედაძე (კორღალიძე 84), ვ. გაგუა

**გაფრთხილება:** ფიცპატრიკი (90)

**მსაჯი:** ლ. პუჩეკი (ჩეხეთი)

**ლინჩიოპინგი 21 ივლისი**

**ფოლკუნგავალენი (1 550 მაყურებელი)**

**ესპანეთი 3:3 იტალია**

0:1 გრაფიედი (11), 1:1 აგანსო (17), 1:2 სემიოლი (29), 2:2 აგანსო (31), 3:2 მარიო (74), 3:3 რინალდინი (90)

**ესპანეთი:** იკერი, პატო ბერნალი, დელ ჰორნო, გარსია ხარო, ლოპო გარსია, მიგელ გარსია (კამაჩო 90), მარიო, ფოფრეი, რაფაელი (ნავას გონსალესი 88), გალიარდო (სანჩესი 40), აგანსო

**იტალია:** ბაგეკანი, კასელი, კოლუჩი, ფაბრისი, ფისორე, გრაფიედი (ლაძარო 77), ლაძერი, მარესკა (პინცი 77), რინალდინი, სემიოლი, სგრინა (ბლასი 55)

**გაფრთხილება:** ლოპო გარსია (14), რინალდინი (18), მარესკა (32), პატო ბერნალი (40), ლაძერი (42), ფოფრეი (83), მარიო (84)

**მსაჯი:** ი. ბასკაკოვი (რუსეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| **ირლანდია** | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| **ესპანეთი** | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| **საქართველო** | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

**A ჯგუფი**

**III ტური**

**საბერძნეთი 1:1 შვედეთი**

1:0 ვაკუპცისი (60), 1:1 ეკენბერგი (82)

**საფრანგეთი 0:1 პორტუგალია**

0:1 პედრო (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუგალია** | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| **საბერძნეთი** | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| **საფრანგეთი** | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| **შვედეთი** | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |

პორტუგალია ფინალში, საბერძნეთი კი მესამე ადგილისთვის მატჩში ითამაშებს

## როგორია ჩვენი შანსი?

ფავორიტებზე საუბარი ყოველთვის სარისკო საქმეა. დაბეჯითებით ვერ იტყვი, რომ ერთი რომელიმე გუნდი ფინალში ითამაშებს. ამის დასტურად შარშანდელი ჩემპიონატიც გამოდგება — ინგლისს ორ შეხვედრაში ექვსი ქულა ჰქონდა და ცალი ფეხით ფინალშიც იყო, მაგრამ ბოლო თამაშში ხორვატიასთან დამარცხდა და ფინალს მიღმა დარჩა.

აქ შემოგთავაზებთ ვარიანტთა ცხრილს, რომლის მიხედვითაც შესაძლო ფინალისტის დადგენაც შეიძლება. ცხრილში „1“ ნიშნავს პირობითად მასპინძლის მოგებას, „X“ — ფრეს, „2“ -იანი კი პირობითად სტუმრის მოგებას.

როგორია ჩვენი ნაკრების შანსი (ესპანელებთან გამარჯვების შემთხვევაში) ბრინჯაოსთვის ბრძოლის გასაგრძელებლად, გვერდით დაბეჭდილი ჯგუფის ცხრილის და ქვემოთმოცემული წესების მიხედვით შეგიძლიათ გამოითვალოთ.

**B ჯგუფი**

**A მატჩი** საქართველო — ესპანეთი; **B მატჩი** ირლანდია — იტალია

| A | B | პირველი ადგილი | მეორე ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ირლანდია | იტალია |
| 1 | X | იტალია | ირლანდია |
| 1 | 2 | იტალია | *საქართველო* ან ირლანდია |
| X | 1 | ირლანდია | იტალია |
| X | X | იტალია | ირლანდია |
| X | 2 | იტალია | ირლანდია |
| 2 | 1 | ირლანდია | იტალია ან ესპანეთი |
| 2 | X | იტალია | ირლანდია |
| 2 | 2 | იტალია | ირლანდია |

თუ ორმა ნაკრებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, გამარჯვებულს ამ წესების მიხედვით გამოავლენენ:

1. მოპაექრე გუნდების პირად შეხვედრაში ვინ მეტი ქულა მოიპოვა.
2. მოპაექრე გუნდების პირად შეხვედრაში ვის უფრო უკეთესი ბურთების სხვაობა აქვს.
3. მოპაექრე გუნდების პირად შეხვედრაში ვინ მეტი გოლი გაიტანა. —
4. ბურთების სხვაობა ჯგუფური ტურნირის ყველა შეხვედრაში. —
5. ვინ უფრო მეტი გოლი გაიტანა ჯგუფურ ტურნირში.
6. ვის უფრო კარგი კოეფიციენტი აქვს შესარჩევ ტურნირში (ქულები გაყოფილი ჩატარებულ თამაშებზე)
7. ბურთების სხვაობა შესარჩევ ტურნირში.
8. საშუალოდ ვის უფრო მეტი გოლი გაჰქონდა ერთ შეხვედრაში შესარჩევ ტურნირში.
9. მიმდინარე ჩემპიონატზე „ფეირ პლეის“ კოეფიციენტთა ცხრილში ვინ უფრო მაღლაა.
10. კენჭისყრა უეფას კომიტეტის მიერ.

# თბილისელი ბრაზილიელი დე სოუზა დინამოელია

**საბოლოოდ** გადაწყდა, რომ ბრაზილიელი, „გუარანის“ ფორვარდი ანდრე სილიუ დე სოუზა უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონ თბილისის „დინამოში“ ითამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილური კლუბი ფორვარდის დათმობას არ აპირებდა, დინამოელთა წინადადებამ ისინი აცდუნა და დე სოუზას „დინამოში“ თამაშზე თანხმობა განაცხადეს.

როგორც შევიტყვეთ, ანდრე სილიუ დე სოუზას კოზირი სისწარფე ყოფილა. სასტარტო სიჩქარე დიდი არაფერი, მაგრამ შემდეგ მისი დამწეები მოიძებნებაო, გვითხრეს. მის ტექნიკურობაზე კი რაღა ვთქვათ, როგორც ყველა ბრაზილიელი, ისეთი ყოფილა.

ვნახოთ. ჩამოვა დე სოუზა თბილისში, ალბათ, 28-ში „ზიმბრუსთანაც“ ითამაშებს და დანარჩენზეც მერე ვთქვათ.

**კოტა ინასარიძე**



კოტე დოლიძე

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

# ახალი ეპოქა თსუ-ში

**მეათე** ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე ბევრი სიახლე უდავოდ თბილისის თსუ-ში მოხდა. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ამ გუნდს ახალი პატრონი გამოუჩნდა ტრანსკავკასიური ვეტერინარული კორპორაციის სახით. კლუბის სათავეში ამ მძლავრი კორპორაციის და კერძოდ, მისი პრეზიდენტის — დავით გოდერძიშვილის მოსვლის შემდეგ მწვრთნელიდან დაწყებული, ფეხბურთელებით დასრულებული ყველაფერი შეიცვალა.

„სარბიელის“ მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, რომ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ქართული კლუბი, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ სეზონთაშორის პერიოდში თავისი საბაზო გუნდის — „მცხეთის“ დაარსებას აპირებდა, თუმცა ვიტელთა ხელმძღვანელობამ ბოლო მომენტში ახლის შექმნას არსებულის მიხედვა ამჯობინა და... თსუ-საც ეშველა.

ფინანსურად მოღონიერებული თსუელებიც მეთერთმეტე ჩემპიონატისთვის მზადებას მთელი სერიოზულობით შეუდგნენ. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კოტე დოლიძემ გუნდი თითქმის მთლიანად გადაახალისა. ძველი შემადგენლობიდან თსუ-ში ნინუა, სვანაძე, მერლანი და ინწკირველი დარჩნენ. მოსალოდნელია, ამ ოთხეულს გერმანულ „ნიურნბერგში“ გასინჯვაზე მყოფი გიორგი დეკანოსიძეც შეუერთდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დეკანოსიძე პირველი ბუნდესლიგიდან ახლახან გავარდნილ კლუბთან კონტრაქტს არ გააფორმებს. დანარჩენი ფეხბურთელები კი ახალწვეულები არიან.

გუშინწინ თსუ ათდღიანი შეკრებიდან დაბრუნდა, 11-დან 21 ივლისამდე ცემში ემზადებოდნენ.

— ყოველდღიურად სამჯერადი ვარჯიშები გვქონდა. ყურადღება ძირითადად ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. ვფიქრობ, ბიჭები ამ მხრივ ნორმალურად გამოიყურებიან — გვითხრა გუშინ კოტე დოლიძემ.

არ არის გამორიცხული, ჩემპიონატის დაწყებამდე თსუ-მ ერთი შეკრებაც მოაწყოს. კოტე დოლიძის თქმითვე, გუნდის მესვეურებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ თბილისში დარჩნენ და აქ ივარჯიშონ, თუ ტაბახმელაში გაგრძელონ მზადება. ამჟამად კი ოქროყანაში გადიან წვრთნას.

მწვრთნელების აზრით, თსუ-ს ყველაზე დიდი ნაკლი დაცვაში აქვს. ამ პრობლემის გადასაჭრელად დოლიძე და მისი თანაშემწეები შესაფერის ფეხბურთელებს ეძებენ.

თსუ-ს წლეულს მიზანიც ახალი ექნება. ხელმძღვანელობას პირველ ეტაპზე ოთხეულში მოხვედრა დაუგეგმავთ. ისე, თუ დოლიძის შეგირდებმა დასახული ამოცანა შეასრულეს, მართლაც დიდი მიღწევა იქნება, რადგან თსუ პირველი ლიგის კლუბებს შორის ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდელია. გუნდის საშუალო ასაკი სულ 19 წელია.

თსუელები ახალ სეზონს ახალი ტექნიკური სპონსორით შეხვდებიან. გუნდის შემოსვის სურვილი სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ ორ ცნობილ ფირმას გამოუთქვამს — ესპანურ „კელმესა“ და დანიურ „ჰუმელს“. „კელმემ“ ცოტა ხნის წინ, მოგეხსენებათ, „ვიტ ჯორჯიასთან“ გააფორმა კონტრაქტი. რომელი ფირმის მაისურას მოირგებენ თსუელები, ეს უახლოეს მომავალში გადაწყდება.

**ვანო ოძროპირიძე**

# შოთამ ამერიკის რევოლუციია ჩაახშო

## შოთა არველაძემ ვალტერ ძენგას გუნდს გაუტანა

კარგ ხასიათზე დამდგარ შოთა არველაძეს გოლს ბრაიან ლაუდრუპი და კევინ რობსონი (№29) ულოცავენ

18 573 ფანი შეიყარა ბოსტონში, „ფოქსბოროს“ ულამაზეს სტადიონზე, რათა საკუთარი თვალით ენახა ამსტერდამის „აიაქსი“. ჰოლანდიურმა გრანდმა საკუთარ ისტორიაში პირველად ითამაშა შეერთებული შტატების მიწაზე.

ბოსტონში „აიაქსის“ მეტოქე „ნიუ ინგლენდ რევოლუშენი“ იყო, რომლის კარს პირველ ტაიმში, არც მეტი, არც ნაკლები, იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე ვალტერ ძენგა იცავდა.

იან ვოუტერსმა პუბლიკას ასეთი „აიაქსი“ წარუდგინა: გრიმი, ვან ჰელსტი, ვერლაატი, დე კლერი, ნიუვენჰერგი, კნოპერი, დანი, ლაუდრუპი, მახლასი, არველაძე და რობსონი.

ამერიკელ არბიტრ ნოელ კენის ჩასტვენისთანავე „აიაქსმა“ მძლავრი იერიში მიიტანა ძენგას კარზე და უკვე მე-10 წუთისთვის დაწინაურდა. კნოპერმა მეკარესთან პირისპირ დატოვა ნიკოს მახლასი და ბერძენმაც ხუთიოდე მეტრიდან ვალტერ ძენგას შანსი არ დაუტოვა.

გოლმა აღაფრთოვანა ბოსტონის ბერძნული სათვისტომო, რომლებიც მატჩზე საგანგებო პრომახლასური ხასიათის პლაკატებითა და თითქმის შიშველი ფანი გოგონების თანხლებით გამოცხადდნენ.

პირველ ტაიმში „აიაქსმა“ მრავალი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ლაუდრუპის პასებს თავდასხმა ვერ აგვირგვინებდა. შესვენების შემდეგ ვოუტერსმა მახლასი ბრაზილიელი ვამბერტოთი შეცვალა. მოედანზე ასევე გამოვიდნენ ვიჩგე, მენცო, პიქუე, დანივი.

ახალმა შემადგენლობამ გადაწყობა დააგვიანა, რამაც ამერიკელებს თამაშის გათანაბრების საშუალება მისცა. 56-ე წუთზე ტორესმა კარგად ჩაჰკიდა ჰოლანდიელთა საჯარიმოში და 19 წლის ჯამარ ბისლიმ ულამაზესი დარტყმით მენცო უშანსოდ დატოვა. გოლმა აქამდე სამარისებურ სიჩუმეში მყოფი ტრიბუნები ააგუგუნა, თუმცა მხოლოდ 10 წუთით.

„აიაქსს“ გამარჯვება შოთა არველაძემ მოუტანა. 66-ე წუთზე ბრაიან ლაუდრუპმა კუთხური ჩამოაწოდა და შოთამაც თავით 2:1 გახადა.

მატჩის შემდეგ ბრაიან ლაუდრუპი ერთობ გახარებული ჩანდა: „ჩვენ სულ ორი კვირაა ერთად ვვარჯიშობთ, მაგრამ შესანიშნავად ვუგებთ ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში „აიაქსი“ ტაქტიკურად ძალიან მოუმატებს. ჩვენ რამდენიმე უძლიერესი ფეხბურთელი გვყავს.“

აღსანიშნავია, რომ მოსამზადებელ პერიოდში შოთამ აშკარად დაჯაბნა გოლეადორი მახლასი. ქართველმა ხუთ მატჩში 10 გოლი გაიტანა, ბერძენის ანგარიშზე კი მხოლოდ ხუთი ბურთია.

ხვალ „აიაქსი“ ნიუ იორკში „გოტმარის თასის“ გათამაშებაში ჩაებმება, სადაც მისი მეტოქეები სპერძნეთის „პანთინაიკოსი“, იტალიის „ფიორენტინა“ და ინგლისის „ასტონ ვილა“ იქნებიან.

**სიმონ მენაბდე**

# ერიკ გერეტსმა გოგა გახოკიძე პსვ-დან გაუშვა

## ოვიედოში თუ გერმანიაში?

**ბელგიელმა** ერიკ გერეტსმა საბოლოოდ თქვა უარი ქართველი გოგა გახოკიძე „ეინდჰოვენში“ დაეტოვებინა და დათანხმდა მისი არენდით გაშვებაზე. გახოკიძე უკვე აღარ იმყოფება ამ კლუბთან ერთად, მან ბოლო ორი საკონტროლო მატჩი („გენკთან“ — 2:2 და „დურნესთან“ 9:0) ქართველის გარეშე ჩაატარა.

გახოკიძის აყვანით ამჟამად სერიოზულად სამი კლუბია დაინტერესებული. ესპანურ „ოვიედოს“, გერმანული „ვერდერი“ და „ჰამბურგიც“ დაემატნენ.

ქართველის ტრანსფერზე რუსი ფიფას აგენტი კონსტანტინ სარსანია მუშაობს, რომელმაც რუსული სააგენტო „არენასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ კლუბებიდან ერთ-ერთმა გახოკიძე მხოლოდ არენდით შეიძლება წაიყვანოს. მისი გაყიდვით ახლა არც „ეინდჰოვენი“ ყოფილა დაინტერესებული, რადგან, რაკი გახოკიძეს შარშანდელი სეზონი გაუცდა, შეიძლება იმაზე ბევრად ნაკლებად გაიყიდოს, რა თანხადაც იგი „ალანიიდან“ ჰოლანდიურ გრანდში გადავიდა.

სარსანიას განცხადებითვე, ქართველის წასვლა ყველაზე მეტად „ოვიედოშია“ მოსალოდნელი.

**სიმონ მენაბდე**

# 3:0 თასის ფინალისტთა რემატჩში ყიფიანმა 24 აირჩია

**„სამგურალთან“** გუშინდელი საკონტროლო მატჩით ქუთაისის „ტორპედომ“ ახალი სეზონისთვის მზადების პირველი, საშინაო ციკლი დაასრულა. თასის ფინალისტთა შეხვედრა, როგორც „გივი კილაძეზე“ გამართული წინა ორი საწვრთნელი თამაში „დილასთან“ და „ბათუმთან“, ტორპედოელთა სოლიდური უპირატესობით წარიმართა, რაც წყალტუბოელთა კარში გატანილ სამ უპასუხო ბურთში გამოისახა.

მეათე წუთზე იონანიძემ იმარჯვა, როცა გოგიაშვილის მიერ სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებულს ახლოდან დროულად შეაგება თავური.

ოც წუთში იონანიძეს მეორედ გატანის ჩინებული შანსი მიეცა, მაგრამ მეგრელაძის მოპოვებული პენალტი გააცუდა — მარცხენა ძელს ოდნავ ააცილა. სამაგიეროდ, სულ მალე გოგიაშვილმა გაიტანა ძალიან კარგი გოლი. მან დაახლოებით 30 მეტრიდან შიგ ცხრიანში ჩაუსვა ბურთი სამგურალელთა მეკარე ნიკა ხელაძეს.

მეორე ტაიმის შუაწელში ხელაძესთან პირისპირ გასულ დავით ჯანაშიას ანგარიშის გასათანაბრებლად განმეორებითი დარტყმა დასჭირდა. 3:0, თუმც მასპინძლებს გაცილებით დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება.

დავით ყიფიანმა გუშინ 18 ფეხბურთელი ათამაშა. მატჩის დამთავრებისთანავე კი „ტორპედოს“ თავკაცმა იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა გაგვანდო, ვისაც ორკვირიან უცხოურ შეკრებაზე იახლებს. აი, ისინიც: მეკარეები — გრიგოლ ჭანტურია, გიორგი სომხიშვილი; მცველები — ბადრი აბლედიანი, ვახტანგ თურმანიძე, ალექსანდრე შეყრილაძე, ვახტანგ ხვადაგიანი, ირაკლი მაღლაკელიძე, მიხეილ მახვილაძე, ვასილ მაისურაძე, ჯაბა თავბერიძე, ალექსანდრე ამისულაშვილი; ნახევარმცველები — კახა კვეტენაძე, შალვა ხუჯაძე, გიორგი გოგიაშვილი, კახა ჩხეტიანი, ზაზა ვაჩიბერაძე, ზურაბ იონანიძე, თორნიკე მაისურაძე; თავდამსხმელები — დავით ჯანაშია, გია მეგრელაძე, მიხეილ ბობოხიძე, რევაზ კვერნაძე.

ტორპედოელებს სიტარდში შვედეთიდან ჩასული საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი გია იმედაძე შეუერთდება.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა, გუნდიდან გათავისუფლებულებად ჩაითვალონ საჰოლანდიო ლაშქარს ჩამორჩენილები (ჩხაბერიძე, სტურუა და კახა ჯანაშია), დავით ყიფიანმა გვიპასუხა, არაო.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# შეყილაძე ქუთაისის ტორპედოს ელოდება

**გუშინ** გელა შეყილაძის „ლიერსმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი მოიგო, ამჯერად 4:0, დაამარცხა რა მეორედივიზიონელი „იტეგემი“. ქართველმა ძირითადში 70 წუთს ითამაშა. გუშინვე ბელგიის თასის მფლობელმა დარჩენილი საკონტროლო მატჩების განრიგი გამოაქვეყნა.

დღეს „ლიერსი“ მეორედივიზიონელ „ბოლენს“ ეთამაშება, 25 ივლისს კი შუაევროპული დროით საღამოს რვის ნახევარზე ქუთაისის „ტორპედოს“ დაუპირისპირდება.

შემდეგ „ლიერსის“ მეტოქეები ინგლისის „საუთჰემპტონი“, ჰოლანდიის „უტრეხტი“ და ესპანეთის „ესპანიოლი“ იქნებიან.

**სიმონ მენაბდე**

# ალადაშვილის ძეძეზი შვილი

აბა, შვილის წარმატება რომელ მშობელს არ უხარია, მაგრამ ხანდახან სხვაგვარადაც ხდება... გუშინწინ რუსთავში ერთობ თვალსაჩინო ფაქტის მოწმე გავხდი. „გორდა“ — „ვიტ ჯორჯიას“ ამხანაგური შეხვედრის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა რუსთაველთა გუნდის მთავარ მწვრთნელ იასონ ალადაშვილის შვილმა შორეული, ეფექტური დარტყმით მოწინააღმდეგის კარში ჩაჭედა ბურთი და გორდელთა თავკაცსაც ხასიათი ეცვალა — გაბრაზებული წამოიჭრა ფეხზე და ხელები გაშალა. მგონი, ამის ახსნას ბევრი თავის მტვრევაც არ სჭირდება — კახა ალადაშვილი, ვიტ-ჯორჯიელთა ერთ-ერთი ლიდერია და ყოფილ კლუბთან პირველი შეყრაც (კახა წლების განმავლობაში „გორდაში“ თამაშობდა) ლამაზი გოლით აღნიშნა. მამა ალადაშვილს კი, ბუნებრივია, იმ შეხვედრის მოგება სურდა და შვილის „მოულოდნელმა გამოხდომამ“ ამადაც დაამწუხრა. თუმც მანამდე შვილის წარმატებით მართლაც გაიხარა „გორდას“ თავკაცმა — პირველ ნახევარში კახას ძმამ, რუსთავულ კლუბში მოთამაშე ლაშა ალადაშვილმა გამოიჩინა თავი და ვიტელ ჭურაძეს აუღებელი დაურტყა. ჰოდა, ალადაშვილების გაცვლილი გოლებით მატჩიც 1:1 დამთავრდა. თვალსაჩინო კიდევ ბევრი რამ იყო ამ შეხვედრაში — გუნდები ერთობ მონდომებულად, გაზრდილად თამაშობდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამაში მათ ხელს „ფოლადის“ უვარგისი საფარიც ვერ უშლიდა. თანაც რუსთაველები სტუმრებს ერთობ სოლიდური შემადგენლობით დაუხვდნენ, რაშიც ქვემოთ მოყვანილი გუნდების შემადგენლობაც დაგარწმუნებთ.

„ვიტ ჯორჯიას“ დღითი დღე ეტყობა პროგრესი და ეს გუნდი კარს მომდგარ ჩემპიონატში ალბათ, მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ტარიელ ბიწაძის მცდელობით (როგორც იცით, ეს გოლიათი „გორდას“ ფიზიკურად ამზადებს) ჯანმომატებულმა რუსთაველებმა კი თუ ეს შემადგენლობა შეინარჩუნეს, ვფიქრობ, XI ჩემპიონატში გარკვეულ სიურპრიზებს ისინიც შემოგვთავაზებენ. ერთიცაა, რუსთაველთა შემადგენლობა საბოლოოდ არც არის ჩამოყალიბებული — გუნდმა შესაძლოა რამდენიმე დღეში ერთი-ორი საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელიც შეიმატოს, ამაზე დაწვრილებით შემდეგ იყოს. საკონტროლო მატჩში კი გუნდები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ:

*„გორდა“: მ. ქორიძე, მჭედლიძე, გ. კილასონია, სიდამონიძე, თელიაშვილი, ინასარიძე, პატარიძე, ბუკია, კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი, მიშველიძე*

*„ვიტ ჯორჯია“: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ხართიშვილი, ბარქაია, თოდუა, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, გიორგი ქორიძე, მაზიაშვილი, კოტორაშვილი, ვ. გორჩაშვილი*

პაატა კვანტალიანი

# გმადლობთ, შეფ!

ყოფილ „26 მაისის“ და ახლანდელ „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონს დიდი ცვლილებები ელის. რკინიგზის დეპარტამენტმა — თუ შეფობაა, შეფობა იყოსო და ვაკის სტადიონსაც მიაპყრო თავისი ყურადღება. ამჟამად „მიხეილ მესხი“ იმგვარადაა ათხრილ-დათხრილი, თავდაპირველი ამშენებელიც ვერ იცნობს, მაგრამ მოვა დრო და თბილისში 15-ათასიანი კოხტა სტადიონი წამოიჭიმება თავისი ინდივიდუალური სკამებით, მაღალხარისხოვანი მინდვრით და უეფას სტანდარტებში ჩამჯდარი რამე-რუმეებით.

სამშენებლო სამუშაოებს რკინიგზის №1 სამშენებლო სამმართველო ასრულებს. ჯერჯერობით მინდვრის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის მოქანდაკება მიმდინარეობს, ცოტა ხანში ბულდოზერ-ექსკავატორებს გრეიდერებიც შეუერთდებიან და მერე ნახეთ, როგორ პატარძალივით მოიკაზმოს „მიხეილ მესხი“.

ჩვენ კი რაღა გვეთქმის. ქართული ფეხბურთის სახელით, „ლოკომოტივის“ სახელით — გმადლობთ, შეფ!

პაატა რურუა



„მიხეილ მესხი“ ახალ სეზონს ახლებურად შეხვდება

# ლოკომოტივის მომავალი მაინც მახარაძის ხელშია

21 ივლისს, ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ „სიონი“ — „ლოკომოტივი 2“-ის საკონტროლო მატჩისას ახალგაზრდა რკინიგზელებს თემურ მახარაძემ უსარდლა და ისე როგორ იქნებოდა, მეათე ეროვნულის ერთ-ერთ გამორჩეულ მწვრთნელს არ გავსაუბრებოდით.

თემურ მახარაძემ ჩვეულად მოკლედ, სქემიანად და კონკრეტულად გვიპასუხა კითხვებზე: „მოგეხსენებათ, ამ ეტაპზე „ლოკომოტივის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელად ვმუშაობ. ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებ და ვცდილობ, ჩემი გამოცდილება „ლოკომოტივის“ მომავლის შექმნას მოვახმარო. რაც შეეხება შემოთავაზებებს, ჯერ არავინ შემხმიანებია და მართალი გითხრათ, არც მე ვცდილობ სადმე გადასვლას“.

„სარბიელს“ არც ის გამორჩენია, რომ თემურ მახარაძე იოჰან ბოსკამპის ვარჯიშების ხშირი (ლამის ერთადერთიც) სტუმარი იყო და რასაკვირველია, ამაზეც ვკითხეთ — ბოსკამპი ფეხბურთის პროფესიონალის შთაბეჭდილებას ტოვებს, მან იცის ფეხბურთი, მაღალი დონის ვარჯიშებსაც ატარებს და ვფიქრობ, საქმეს გააკეთებს — ასეთი კომენტარი გაუკეთა ჰოლანდიელის საქართველოში მოღვაწეობას თემურ მახარაძემ.

ლუკა თალაკვაძე

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (თბილისი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), მ. მაჭავარიანი, მ. ჩომახიძე (?) | ს. გიგაძე, ვ. გიგიაძე (იბერია), გ. შენგელია (დინამო), ქიქვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), ზ. ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, მაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), დევაძე (ირონი, ოქმდიდი, ისრაელი), გრიბიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დე სოუზა (გუარანი, ბრაზილია) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქალაქი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდი (ჰოლანდია) 1:0, რაბი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შჯარ ვიდი (ჰოლანდია) 2:1, კლუბრონი (ბელგია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1 |
| **ლოკომოტივი** *შურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), შ. ხუჯაძე (ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ქოიავა, გ. ლუდუმაური, ვ. კილასონია (?) | ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ასლანაძე, გლუხნაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ღარნყალი), ოდიშარია (ცხუმი), არსოშვილი (შერიფი, მოლდოვა) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეკვალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ქიქვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), მაკაჯარია, ყულეკეიშვილი, გუჯაბიძე, ქუტმიძე, ფუტკარაძე (?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | კოლხეთი 4:1, 0:1, ტორპედო 0:4 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ღამბაშიძე, გვირჯიშვილი (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ჩლაიძე (თბილისი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი) | გოხჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), ბურნაძე (ვანსფორი, თურქეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე, გლუხნაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, დარსაძე (იბერია), გ. კილასონია (გორდა) | მ. ძოძუაშვილი (გურია), ბრეგვაძე, ფაიქიძე, სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე, კაკაბაძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე (სამგურალი-2) | ტორპედო 0:3 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (არსენალი), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჩალაძე (?) | დ. ჩიგოშვილი (ღარნყალი), ფოფხაძე (ივერია) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0 |
| **თბილისი** *ოთარ კორდალიძე* | ზ. ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ნიკურაძე, ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ჩლაიძე (არსენალი), ვერემჩუკი (ბათუმი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზეარიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), შ. ხუჯაძე (ლოკომოტივი), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ყემჩუეთი, რუსეთი) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0 |
| **კოლხეთი** *გია ტყემუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი, ჩადუნელი (?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხეენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭობონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკვსკირი (გურია), მგელაძე (მერცხალი) | ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, ბათუმი 1:4, 1:0 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ბ. ამბიძე (?, ისრაელი), გ. კვეტენაძე, დ. ქელიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ღარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ნ. ყიფიანი, ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, თბილისი 2:2, ქაბუკიანი 1:0 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ქველაძე, გ. დოლიძე (?) | გ. ჯანელიძე, დარსაძე (სამგურალი), ასათიანი (ტორპედო 2), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე, თ. მაღლაკელიძე, ხარძეშვილი (ფაზისი), ფვანია (ოკეანე), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი) | კოლხეთი 0:3, ლოკომოტივი 0:0 |
| **დილა** *შერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), მდივანი (?) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | გ. კილასონია (სამგურალი), თელიაშვილი (ღარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2) | ხალიბი 5:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), ჭუმბურიძე (?) | ახალაძე (სამგურალი), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ღამბაშიძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. არჩვაძე (ნიკა, ვინიცა, უკრაინა), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კეციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე) | გარეჯი 13:0 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი (ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა), ლ. გვაზავა (?) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# არ მიაკაროთ სიონი

*მეათე ეროვნულს გადაურჩა „სიონი“, ბოლნისს ფეხბურთი გადაურჩა და ქვემო ქართლს ქართული ფეხბურთი შერჩა — გორში ტყუილად არ ჩასულან ბოლნისელი ქომაგები. საქომაგოც გვარიანი ჰქონდათ და საყვირალიც, წააგებდა „სიონი“ და ვაი, ფეხბურთს და ფეხბურთელს, მწვრთნელს და მაყურებელს, ბოლნისს და ქვემო ქართლს — მოკვდებოდა ამ კუთხეშიც ფეხბურთი. არ მოხდა ასე, ივაყკაცეს სიონელებმა, მოუგეს თსუ-ს და შერჩნენ კიდეც პირველ ჯგუფს და მეთერთმეტე ეროვნულს. მართალია, „სიკვდილის ჯგუფს“ („ა“ ზონას), მაგრამ მაინც შერჩნენ. ამიტომაც სიო არ უნდა მიაკარონ ქვემოქართლელებმა მრავალჭირნახულ „სიონს“. „სიონს“, რომელსაც უქონლობაც გამოუცდია, გავარდნის საფრთხეც, დაშლის პირასაც მისულა, მაგრამ ფეხბურთისთვის და ქომაგისთვის არ უღალატია.*

ლავრენტი გაგუა (მარცხნივ) და მურმან გოგოლაძე „სიონ“ — „ლოკომოტივი 2“-ის საკონტროლო მატჩისას

ფოტო ვ. ფირცხალავას

შარშან სიონელები თავზე მაღლა ახტნენ, რა იქნება წელს?

ფოტო ვ. ფირცხალავას

არ მიაკაროთ „სიონს“ სიონი.

მეთერთმეტე ეროვნულის დადგომას ერთი არასასიამოვნო ტრადიციის დარღვევით შეხვდება ბოლნისური გუნდი — პირველად ბოლო წლების მანძილზე „სიონი“ შეკრებას გაივლის. მართალია, იქვე, კაზრეთში, მაგრამ შეკრება შეკრებაა, იგი ნებისმიერი გუნდისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და თუკი ამასთან ერთად კაზრეთის სანატორიუმის მშვენიერ პირობებსაც გავითვალისწინებთ (ცხელი წყალი, კეთილმოწყობილი ოთახები, ირგვლივ ტყე, კვება), უეჭველია, „სიონი“, შარშანდელისგან განსხვავებით, უკეთ მომზადებული შეხვდება სეზონს. მით უმეტეს, ბოლნისელებმა მოთამაშე ბირთვი შეინარჩუნეს — შარშანდელთაგან თოთხმეტი ფეხბურთელი გუნდშია, ამაზე ცოტა მეტი ცდილობს „სიონში“ მოხვედრას და ამჟამად სპარტაკ არჩვაძის ხელმძღვანელობით ოცდაათამდე ფეხბურთელი ვარჯიშობს.

ვარჯიში კი სულ ერთი კვირაა, რაც დაიწყო „სიონმა“. გუნდში ამინდს ძველებურად ვეტერანები ქმნიან — ყიფშიძე, შაკიაშვილი, გოგოლაძე, მოსეშვილი. ამათ ერთგული სიონელები — სამხარაძეები, ჯაფარიძეები, გაგუა, გოდერძიშვილი ემატებიან და „სიონიც“ ჩვეულ ატმოსფეროში, ჩვეული შემადგენლობით ემზადება.

გუნდიდან ხუთიოდე კაცი წავიდა. ტყავაძე, ისანი, ლაშა ამბიძე, მეკარე გუგუნავა, ჩალაძე — ეს ბიჭები სხვადასხვა გუნდში მიმოიფანტნენ, ზოგიერთ მათგანს კი ჯერაც არ მოუძებნია თავისი ადგილი. ჩამოთვლილი ფეხბურთელები, თქმა არც უნდა, ძალაა, მაგრამ ბოლნისელები უიმათოდაც აპირებენ იოლას გასვლას. მეკარეებმა — დალაქიშვილმა და ჭიღლაშვილმა, თავდამსხმელმა ჩიგოშვილმა („ღარწყალიდან“) უკვე დაიმკვიდრეს „სიონში“ ადგილი და თუ ამათ გამთამაშებელი და ერთიც ლიბერო დავუმატეთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო — გვითხრა აწ უკვე „სიონის“ მოთამაშე-მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ, რომელსაც იმდენი და იმდენჯერ უთამაშია ეროვნული ჩემპიონატის პირველ და მეორე ჯგუფებში, მერაბ მეგრელაძისა არ იყოს, მართლა იმსახურებს ქართული ფეხბურთის აზნაურის წოდებას.

ყიფილო რა ხანია, წასვლას ეშურება, მაგრამ რაკი ბოლო მცველის ადგილზე მისი შემცვლელი არ გამოიძებნა, წლეულსაც დარჩა. აი, გამთამაშებელი კი უთუოდ უნდა მოძებნონ ბოლნისელებმა, ბუბა ტყავაძემ შარშან ერთხელაც დაარწმუნა ყველა ამ ამპლუის ფეხბურთელის აუცილებლობაში და ვნახოთ, ვის მიანდობენ მოედნის ცენტრს სიონელები. ეგებ ეს ფუნქცია ბოლნისში ადრეც ნათამაშებმა და ახლა ხაშურის „ივერიადან“ გადმოსულმა ზურაბ ფოფხაძემ შეასრულოს, ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, ფოფხაძე უკვე შეუდგა „სიონში“ ვარჯიშს.

გუნდზე შეფობა, როგორც ადრე, ბოლნისის გამგებელმა ბატონმა ზურაბ ჯაფარიძემ აიღო. უკვე დაუდგენიათ ხელფას-პრემიების ნიხრი. მართალია, ჯერ წინა სეზონის ფული არ მიუღიათ სრულად სიონელებს და ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ მწვრთნელის სიტყვებით, მალე ყველაფერი კარგად იქნება, ფეხბურთელებს დავალიანებას გაუსტუმრებენ.

„სიონში“ ტრავმების მხრივაც საშუალოდაა საქმე — ოდნავი ტკივილები აწუხებთ რიგ ფეხბურთელებს, მაგრამ სერიოზულიც არაფერია. ვის ბებერები დაასხდა ფეხისგულზე და ბუცის ჩაცმა უჭირს, ვის მეათე ეროვნულიდან გამოყოლილი მცირე ჭრილობა ვერ მოუშუშებია. ძველს ახალიც დაემატა და „ლოკომოტივი 2“-თან საკონტროლო შეხვედრისას ბურთისთვის ბრძოლაში გოდერძიშვილი დაშავდა — მუხლს ქვემოთ გვარიან სიღრმეზე მეტოქემ ხორცი ამოგლიჯა და რამდენი ხანი დასჭირდება მის მკურნალობას, ჯერჯერობით უცნობია.

ახლა საკონტროლო თამაშების შესახებ. დღემდე „სიონმა“ მხოლოდ ორი მატჩის ჩატარება მოახერხა, პირველი „ზოოვეტთან“ ორ შემადგენლობად საბოლოო ანგარიშით 2:4 დათმო. პირველმა შემადგენლობამ პირველი ტაიმი 2:1 მოიგო, მერე არჩვაძემ მინდორზე სათადარიგოები შეუშვა და მათაც ტაიმი 0:3 წააგეს. სწორედ ამან ათქმევინა ჩვენთან საუბარში „სიონის“ მოთამაშე-მწვრთნელ გიორგი ყიფშიძეს — უცნაურია, მაგრამ ფაქტია, უამრავ 16-17 წლის ბიჭთან გვიხდება ურთიერთობა, ყაბულს ვართ, ზოგიერთი მათგანი ახლავე ავიყვანოთ გუნდში, მაგრამ ერთი ახალგაზრდა რაა, იმასაც კი ვერ აარჩევ, ინკუბატორის წიწილებივით ყველა ერთმანეთს ჰგავს, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ფეხბურთის ტალანტებით დაცარიელდა საქართველოო.

ამიტომაც აკეთებს „სიონი“ აქცენტს მოწვეულ ფეხბურთელებზე — ხელმძღვანელობას ახალგაზრდა ადგილობრივ მოთამაშეთაგან სხვებზე მეტად ლაშა ჩაგელიშვილის იმედი აქვს. ეს ბიჭი მშვენიერი სასტარტო სიჩქარით გამოირჩევა, თავის ასაკის გუნდებში ბომბარდირიც ხდებოდა ხოლმე, ახლა კი გამძლეობაზე და ჯანზე თუ იმუშავებს, აუცილებლად ითამაშებს „სიონის“ ძირითად შემადგენლობაში.

მეორე საკონტროლო თამაში ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ 21 ივლისს გამართეს ბოლნისელებმა, ამჯერად მათი მეტოქე „ლოკომოტივი 2“ იყო. „სიონმა“ თემურ სამხარაძისა და ელგუჯა ჯაფარიძის გოლებით 2:0 დაამარცხა თემურ მახარაძის გუნდი და ალბათ, გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებაც მისცა სპარტაკ არჩვაძეს. გუნდი შესათამაშებელია, ფიზიკური გამძლეობა უკეთეს კონდიციამდეა მისაყვანი — ერთი სიტყვით, არჩვაძეს სამუშაო საკმაოდ აქვს. რაც შეეხება აღკაზმულობას, „სიონმა“ ეს პრობლემა შარშანვე მოაგვარა. მოგეხსენებათ, შარშან ბოლნისელები საფრანგეთის ნაკრების ფორმით თამაშობდნენ, სხვა კომპლექტიც ჰქონდათ, მაგრამ მაინც „ფრანგული“ მაისურებით თამაში ამჯობინეს — აქაოდა ბედნიერი ფორმააო. ამ რწმენამ გუნდს ერთი სიკეთეც გაუკეთა, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის „სიონს“ ჯერ კიდევ შარშან შეძენილი, ახალთახალი და ხელუხლებელი სამოსი აქვს. რაც შეეხება დიზაინს — ეს ფორმა კიევის „დინამოს“ მაისურების ალი-კვალია.

სიონელები 27 ივლისს კაზრეთში შეიკრიბებიან, იქ ორ კვირას დაჰყოფენ. მერე ცოტა წაივარჯიშებენ და მეთერთმეტე ეროვნულიც მოადგებათ კარს. და ითამაშებს „სიონი“ — ძველი შემარეები, ახალი ფორმით, ფეხბურთის სიყვარულით და იმედით, იმედით, იმედით!

**კონსტანტინე გოგიშვილი**

სპარტაკ არჩვაძე და მისი შეგირდები მეთერთმეტე ეროვნულისთვის მზადებისას

ფოტო ვ. ფირცხალავას

სპარტაკ არჩვაძე

# ველური დივიზია

## არის ასეთი გუნდი, მას „ალანია“ ჰქვია

ოთხშაბათ საღამოს „როტორის“ მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ გუნდი მინდვრიდან თამაშის დამთავრებამდე გაიყვანა. ის ვლადიკავკაზში მსაჯობით იყო უკმაყოფილო. ოთხშაბათ დილით კი „იზვესტიისა“ და „სპორტ სევოდნიას“ მიმომხილველმა იგორ პოროშინმა „ალანიას“ მონაწილეობით მატჩებში მსაჯობის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ დაწერა

„ასეთი მსაჯობით წლეულს ცსკა თამაშს არ წააგებს. ჩვენ ვაპროტესტებთ მსაჯ ლაპოჩკინის მიკერძოებულ ქმედებას“ — განაცხადა ცსკა-სთან მატჩის შემდეგ „ალანიას“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა.

მე-15 ტურში უკვე „ზენიტის“ ხელმძღვანელობამ უჩივლა არბიტრ ტიხომიროვს, რომელსაც „ალანიას“ სასარგებლოდ უსინდისო მიდგომა დაებრალა.

მე-13 ტურში ვლადიკავკაზში „ურალანი“ სტუმრობდა. ნამატჩევს წაგებული ელისტელების მწვრთნელი ალექსანდრ ავერიანოვი აღშფოთებული იყო მსაჯობით.

დღეს ვლადიკავკაზში ფეხბურთია, ეს კი ნიშნავს, რომ არბიტრ ანიოხინს ისევ აგინებენ, დაწერენ პროტესტებს, ოფლიან თითებს ვიდეომაგნიტოფონის ღილაკებს დაჭერენ და ეცდებიან, გაარკვიონ, საჯარიმოს ხაზს გარეთ წაიქცა დემეტრაძე, თუ შიგნით. ჟურნალისტები დიქტოფონებს მყვირალა პირებს მიაბჯენენ, სპორტული გაზეთები ყველაფერს დაწერენ და კომენტარს არ დაურთავენ. სამი შვილიშვილის პატრონი, ჭაღარა და დაღლილი ინსპექტორი ოქმში ჩვეულ 8,1 ჩაწერს. ერთ კვირაში მას პენსიაზე გაუშვებენ, მაგრამ მერე შვილიშვილები გაახსენდებათ და შეიწყალებენ. მხოლოდ მკაცრ გაფრთხილებას აკმარებენ. სადისციპლინო კომიტეტი „უდისციპლინობისთვის“ ორივე გუნდს ათასი მანეთით დააჯარიმებს და ყველაფერი ძველებურად დარჩება. უკვე ექვსი წელიწადია, ასე გრძელდება, მას შემდეგ, რაც ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბს ვალერი გაზაევი თავკაცობს.

ყველამ იცის, რაც არის გუნდი — „ალანია“, მაგრამ ყველა დუმს. რატომღაც ჩვენი საფეხბურთო პრობლემები არასაფეხბურთოს კავკასიაში ძალიან იოლად ერითმება. ამბობენ, ოსეთთან წაჩხუბებაღა გვაკლიაო. ოსეთის დედაქალაქში კი, როგორც კორესპონდენტები წერენ ხოლმე, „ფეხბურთი — რელიგიაა“. თანაც ყველამ იცის, რას ნიშნავს გასვლითი მატჩი ვლადიკავკაზში. „ალანიასთან“ მატჩამდე მეტოქე გუნდების მწვრთნელების დარიგებები იმ ინსტრუქციებს ჰგავს, საბჭოთა მოქალაქეებს მეგობრულ ავლანეთში წასვლის წინ რომ აძლევდნენ: „იყავით მშვიდად, მაგრამ ფხიზლად. პროვოკაციებს არ აჰყვეთ.“ როცა მსაჯები ვლადიკავკაზში მიემგზავრებიან, ცოლები ჩუმად ლოცულობენ მათთვის.

უმაღლესი დივიზიონის კლუბები სხვადასხვაგვარად შეიძლება დავაჯგუფოთ: მოსკოვურები და არამოსკოვურები, მდიდრები და ღარიბები (რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა). მაგრამ მხოლოდ ერთი წინააღმდეგობაა დრამატული: „ალანია“ და სხვა დანარჩენები. ამ ფაქტთან დაკავშირებით ყველა დუმილს არჩევს. მხოლოდ ერთი ადამიანი იმეორებს ამის შესახებ განუწყვეტლივ — ეს ვალერი გაზაევია. „ალანიას“ წინააღმდეგ მოსკოვურ კულისებში შექმნილი შეთქმულების იდეას, რომელიც ღვინით სავსე ჩემპიონთა თასებში საწამლავს ურევს, გაზაევი განსაკუთრებით ამ სამი-ოთხი წლის წინათ ახმოვანებდა. ახლა, როცა „ალანია“ ჩემპიონობისთვის აღარ იბრძვის, ასეთი სიტყვები სასაცილო იქნებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმაღლესი დივიზიონის არც ერთი მწვრთნელი არ ხმარობს გაზაევივით ხშირად სიტყვებს „პროტესტი“, „პროვოკაცია“, „მიკერძოება“. როცა ცსკა-სთან მატჩის შემდეგ გაზაევმა თავისი ტირადა წარმოთქვა, ჟურნალისტებს გაახსენდათ, რომ თამაშის დროს მან იკადრა და მაყურებელს შეურაცხყოფა მიაყენა — პროვოკაციები თქვენთვის დაიტოვეთო, შესძახა გაზაევმა.

„ალანია“—„დინამო“. მოსკოველთა მეკარე კრამარენკო დემეტრაძეს აშკარად უხეშად ეთამაშება

ФУТБОЛ

უბედურება ისაა, რომ შეთქმულება, რომელზეც ხშირად ლაპარაკობს „ალანიას“ მხედართმთავარი, სულაც არაა მისი ემოციურობის ნაყოფი. განხეთქილება, ფრონტის ხაზი სინამდვილეში არსებობს და „ალანიას“ ყოველი მატჩის ანგარიში საბრძოლო ცნობას ჰგავს. ნიუანსი იმაშია, რომ ეს „ფრონტის ხაზი“ შექმნეს არა კოლოსკოვმა ან ტოლსტიხმა, არა „მოსკოველმა ჟურნალისტებმა“, არამედ თავად გაზაევმა. ეს ყველაფერი ექვსი წლის წინათ მოხდა, როცა მან „აინტრახტისგან“ განადგურებული მოსკოვის „დინამო“ დატოვა და ვლადიკავკაზს გაემგზავრა, რათა თავისი ოცნების გუნდი შეექმნა.

როგორც ყველა მწვრთნელი, გაზაევიც მხოლოდ გამარჯვებებზე ოცნებობს, მაგრამ ამ ოცნებაში არის წვრილმანები, რომლებიც მას კოლეგებისგან გამოარჩევს. გაზაევს სურს, მისმა გუნდმა ყოველ მატჩში პენალტი დაარტყას და პირიქით, რომ მოწინააღმდეგე არასოდეს მიეკაროს მის თერთმეტმეტრიან ნიშნულს. ალანიელებმა არასოდეს უნდა მიიღონ გაფრთხილებები და პირიქით. ისე კი, არბიტრ სერგეი ლაპოჩკინის არ იყოს, ვინც ფიქრობს, რომ გაზაევის ოცნებები ჩინებულია, შესაძლოა ვალერი გიორგიევიჩის უხეშ გამონათქვამებსაც ემსხვერპლოს. ვფიქრობ, ცსკა-ს სტადიონის საპრესკონფერენციო ოთახში შეკრებილთაგან ვერავინ მიხვდა, რამ აღაშფოთა გაზაევი: პენალტი სამართლიანად დაინიშნა, გოლებიც მართებულად ჩაითვალა, გაძევებაც უეჭველი გახლდათ. თუმცა თავიდანვე ყველა მზად იყო გაზაევის აღშფოთების მოსასმენად.

ცსკა — „ალანიას“ მსაჯს სერგეი ლაპოჩკინს შინ, პეტერბურგში, დავურეკე და ვკითხე, რა პრეტენზიები ჰქონდათ მასთან ვლადიკავკაზელებს: ოქმი არ მინახავს და არც მაინტერესებს. შესაძლოა, იმ ეპიზოდში შევცდი, როცა პირველ ტაიმში ერთ-ერთ არმიელს ყვითელი ბარათი არ ვუჩვენე. ვფიქრობ, სხვა შემთხვევებში სადისციპლინო კომისია ჩემს მხარეზე იქნება. ალბათ, იქ დემეტრაძის საჯარიმოში ვარდნებთან დაკავშირებულ მომენტებს გაარჩევენ. მაგრამ ამაზე საუბარი უბრალოდ, სასაცილოა. ყველა შემთხვევაში ფეხბურთელი თვითონ წაიქცა. ვლადიკავკაზში მსაჯობა კი ყველა არბიტრისთვის დიდი გამოცდაა. იქ რომ 90 წუთი გაძლო, ყრუ და შეუვალი უნდა გახდე“ — თქვა ლაპოჩკინმა.

იცით რა დაუშავა ლაპოჩკინმა გაზაევთან? რა და, იგი არ დამშსგავსა მსაჯ ტიხომიროვს. არ მოიგონა პენალტი, თამაშგარე, ჯარიმა და ორივე გუნდისთვის ერთი და იმავე წესებით სჯიდა. თუმც ამ შემთხვევაში ლაპოჩკინისთვის მაინც იოლი იყო მსაჯობა, თამაში ხომ მოსკოვში ტარდებოდა.

ლაპოჩკინის კედევ ერთი მცირე დანაშაული ის არის, რომ მან სიმულაციისთვის დემეტრაძე არ გააძევა. არადა, ყველა ნორმალურ ჩემპიონატში ასე მოხდებოდა.

პროვოკაცია და უხეშობა — ეს „ალანიას“ ტაქტიკის ისეთივე შემადგენელი ნაწილებია, როგორც, მაგალითად, ხაზზე განლაგებული მცველების თამაში. მართლაც, მსაჯები დემეტრაძის წაქცევისთვის პენალტებს ნიშნავენ, მოწინააღმდეგე გუნდების თავდამსხმელებს კი „ალანიას“ მცველების ხისტი ვარდნებისა ეშინიათ, განსაკუთრებით ვლადიკავკაზში, და ხშირად მხოლოდ შიშის გამო აგებენ.

მეცოდება „ალანიას“ მოთამაშეები — ზოგიერთ მათგანს ხომ უსაფუძვლოდ წაქცევისა და მსაჯზე თუ მოწინააღმდეგეზე გაქაჩვის გარდა ფეხბურთის კარგად თამაშიც შეუძლია, ისეთი ფეხბურთის, სხვებსაც რომ ასწავლოს. მაგრამ მათ აიძულებენ, მოედანზე რაღაც ბოროტი მასხარაობა გამართონ, რომელიც სულაც არაა სასაცილო. კიდევ ნახევარი წელი გაზაევთან და დემეტრაძის მომავალ ევროპულ კარიერას შეგვიძლია ჯვარი დავუსვათ. მას ხომ უბრალოდ, ფეხბურთის თამაში დაავიწყდა. მისი შესანიშნავი ტექნიკური მონაცემები დეფორმირდება, 90 წუთის განმავლობაში ის ფიქრობს არა იმაზე, თუ როგორ მოატყუოს მეტოქე, არამედ როგორ წამოედოს მის ფეხს. გაზაევმა უკვე დაღუპა კანიშჩევი, რომელიც ადრე მოწინააღმდეგის საჯარიმოში მყვინთავის როლს ასრულებდა.

ვალერი გაზაევმა თავისი ოცნების გუნდი შექმნა. „ალანია“ თავის შემქმნელს ჰგავს და მის ბედს იმეორებს. ნიჭიერი თავდამსხმელი გაზაევი ხალხს დაამახსოვრდა, როგორც ფორვარდი-პროვოკატორი, რომელიც მსაჯებს ერთთავად პენალტებს დანიშვნას სთხოვდა. მეშინია, რომ გაზაევის „ალანიას“ 95-ის ჩემპიონობისთვის აღარ გაიხსენებენ.

თუმცა მას შემდეგ რუსული ფეხბურთი საკმაოდ დაიხვეწა. უმაღლეს დივიზიონში კანონიერება თუ არა, მისი ილუზია მაინც დამკვიდრდა. ხალხი იცვლება. იური სიომინი, რომელიც ოდესღაც ვოლგოგრადის სტადიონიდან მილიციას გაურბოდა, აღარ იჭრება მსაჯების ოთახებში. საკუთარ თავს ველარ აკადრებს ამას იმიტომ, რომ კარგი გუნდის მწვრთნელია. წარმოიდგინეთ, ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივმაც“ კი დაიწყო ფეხბურთის თამაში და ახლა იშვიათად თუ გვახსენდება, რომ მის მწვრთნელს ვალერი ოვჩინიკოვს ყოველთვის მიაჩნდა — გამარჯვებები ბნელ კულისებში მოიპოვებაო. ამ ფონზე „ალანიას“ სწრაფვა, გამოიყენოს ცუდი დროის ფეხბურთის მეთოდები, აღმაშფოთებელია.

რუსეთის საფეხბურთო რუკაზე მშფოთვარე ტერიტორია არსებობს. საფეხბურთო მთავრობის დუმილი კი სულ უფრო აუტანელი ხდება. დროა, რამე გაკეთდეს. დაიდგას ბლოკსტოპები, დაიცვან მსაჯები და მხოლოდ ამის შემდეგ განიკითხონ ისინი.

*ИЗВЕСТИЯ. 21.07.99*

### ფეხბურთის რუკასთან

**ჩილეს** ეროვნული ნაკრების მცველი პაბლო კონტრერასი, „კოლო კოლოდან“ „მონაკოში“ გადავიდა — განაცხადა ფრანგული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ანრი ბიანჩერიმ. აღსანიშნავია, რომ 20 წლის კონტრერასი, პედრო რეიერის შემდეგ, მეორე ჩილელია, რომელიც საფრანგეთის პირველ დივიზიონში ითამაშებს. რეიერი შარშან „ოსერმა“ შეიძინა.

**უელსის ქალაქ სუონსის საფეხბურთო და სარაგბო კლუბები 2001 წლიდან ერთ სტადიონზე ითამაშებენ. „ნიუ მორკა სტადიუმი“, რომლის აშენებაზეც 23 მილიონი გირვანქა (36,22 მილიონი დოლარი) დაიხარჯება, 24 ათას გულშემატკივარს დაიტევს და პირველი სტადიონი გახდება ბრიტანეთში, რომელზეც ერთდროულად საფეხბურთო და სარაგბო გუნდები იასპარეზებენ.**

**რუსეთის** ჩემპიონის, მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტანი ილია ციმბალარი შესაძლოა თურქულ „ბეშიქთაშში“ გადავიდეს. საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ მიიღებენ, როცა ციმბალარს გერმანიაში სტამბოლური კლუბის ექიმი ფაკურ დურბინი შეამოწმებს. „ციმბალარს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არა მგონია, რაიმე სერიოზული პრობლემა ჰქონდეს. და თუ ეს მართლა ასეა, მაშინ მის ჩვენს გუნდში გადმოსვლას წინ არაფერი დაუდგება“ — განაცხადა „ბეშიქთაშის“ წარმომადგენელმა თანკუტ დინჩმა. 30 წლის რუსი ნახევარმცველის სატრანსფერო თანხა დაახლოებით 3 მილიონი დოლარი იქნება. რამდენს მიიღებს იგი წელიწადში, ჯერ ცნობილი არ არის.

**პარაგვაის ეროვნული ნაკრების 17 წლის თავდამსხმელი რუკუ სანტა-კრუზი გუშინწინ მიუნხენში ჩავიდა. მომავალი სეზონიდან ის „ბაიერნის“ ღირსებას დაიცავს. „ბედნიერი ვარ, რომ აქ აღმოვჩნდი. მე დიდი მიზნები მაქვს, აქედან პირველი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა“ — განუცხადა გერმანელ ჟურნალისტებს, ჯერ კიდევ თვითმფრინავის ტრაპზე მდგარმა სანტა-კრუზმა. შეგახსენებთ, რომ სანტა-კრუზი, რომელმაც ახლახან დასრულებულ „კოპა ამერიკაზე“ 3 გოლი გაიტანა, „ბაიერნმა“ გასულ მაისს ასუნსონის „ოლიმპიასგან“ 10 მილიონ მარკად (5,37 მილიონი დოლარი) შეიძინა. სანტა-კრუზმა ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

**ბრაზილიელი** თავდამსხმელი სონი ანდერსონი ალბათ საფრანგეთის ჩემპიონატის I ტურს გამოტოვებს. ანდერსონს, რომელიც „ლიონმა“ „ბარსელონასგან“ 20 მილიონ დოლარად შეიძინა, რაც საფრანგეთის სარეკორდო ტრანსფერია, 30 მაისს „ბარსელონა“—„ატლეტიკის“ შეხვედრის დროს კუნთი დაეჭიმა, რის გამოც ახალი კლუბის მიერ ჩატარებული ყველა ამხანაგური შეხვედრა გამოტოვა. „საგანგაშო არაფერია. უბრალოდ, ასეთ დროს გარისკვა არ ღირს. ყველაფერი კარგად მიდის და გარკვეული კურსის ვავლის შემდეგ ანდერსონი სრულიად გამოჯანმრთელდება — განაცხადა „ლიონის“ ექიმმა ჟან-მარსელ ფერემ.

**ესპანური „ბარსელონას“ მცველმა სერხი ბარხუანმა კლუბის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ უახლოეს მომავალში შეიძლება კატალონიური კლუბი დატოვოს. 27 წლის მცველით, რომელიც „ბარსას“ ერთ-ერთ ძირითად ფეხბურთელად ითვლება, მრავალი გუნდია დაინტერესებული და თანახმანი არიან, მის სანაცვლოდ 18,86 მილიონი დოლარი გაიღონ. „არასდროს დამიმალავს, რომ ბევრი წინადადება მაქვს სხვადასხვა კლუბებიდან. ამ ზაფხულს ჩემი ტელეფონის ზარი არ წყდება. „ბარსელონაში“ თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ გადასვლის ვარიანტსაც არ გამოვრიცხავ, რადგან, ნებისმიერი მოთამაშე ცდილობს, უფრო ხელსაყრელ კონტრაქტზე მოაწეროს ხელი — უთხრა სერხიმ კატალონიურ „სპორტს“ და დაამატა, რომ კლუბთა შორის, რომლებიც ჩემს გადაბირებას ცდილობენ, ყველაზე მეტად „ჩელსი“, „ფიორენტინა“, „ინტერი“ და „რომა“ აქტიურობენო.**

## 2001 წლამდე ბარსელონაში

ლუის ვან გაალი

**ჰოლანდიელი** მწვრთნელი ლუის ვან გაალი თანახმაა, „ბარსელონასთან“ კონტრაქტი ორი ნლით კიდევ გააგრძელოს, რის საფუძველზეც კატალონიურ კლუბში 2000-2001 წლის სეზონამდე დარჩება.

ვან გაალი, რომელსაც ესპანელი ჟურნალისტები გამუდმებით აკრიტიკებდნენ გუნდში ჰოლანდიელთა მომრავლების გამო, აცხადებდა, რომ „ბარსადან“ კონტრაქტის ვადის გასვლისთანავე წავიდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა.

— პროგრესი აშკარაა. ვან გაალმა „ბარსელონა“ სუპერკლუბად აქცია. ამის დასტური ისაა, რომ გუნდი სეზონის შუაგულში სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილს ტკეპნიდა, საბოლოოდ ჩემპიონატი მოიგო. თანაც ისე, რომ უახლოეს მდევარს 11 ქულით გაუსწრო — განაცხადა კატალონიელთა პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა.

მისივე თქმით, ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილ თავკაცთან კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვეტილია და გარიგების დასრულებას მხოლოდ ფორმალური მხარის მოგვარებაღა აკლია.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ელექტრული ვერსია



სარბიელის არქივიდან

# ტონი ადამსი დაშავდა

ინლისის 1998 წლის ჩემპიონ და თასის მფლობელ ლონდონის „არსენალს“ გუნდის კაპიტანი ტონი ადამსი მომავალ ექვს კვირას გამოაკლდება. იგი ინგლისის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩსაც გამოტოვებს 4 და 8 სექტემბერს, შესაბამისად ლუქსემბურგის და პოლონეთის წინააღმდეგ.

ინგლისური პრესის, ცნობით, ადამსმა გასულ უქმეებზე „მეთოფეთა“ ერთ-ერთი მორიგი ვარჯიშისას ფეხის ორმაგი მოტეხილობა მიიღო. 32 წლის მცველს მეორე დღესვე ოპერაცია გაუკეთეს და, ექიმთა განაცხადებით, იგი ვარჯიშს მხოლოდ სექტემბრიდან შეძლებს.

# უნგრული გასაჭირი

უნგრულ ფეხბურთში დიდი გაურკვევლობაა.

სულ რაღაც ორი კვირაღა დარჩა ქეყნის პირველობის დაწყებამდე, უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია კი აცხადებს, გუნდებში ფინანსური პრობლემების მოუგვარებლობის გამო შესაძლოა ჩემპიონატი წლეულს სულაც არ გაიმართოსო.

გასულ სამშაბათს, ფეხბურთს ფედერაციის მორიგ სხდომაზე, თანამდებობიდან გადადგა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჟანოშ ზანიელი.

აღსანიშნავია, რომ სულ ორი კვირის წინ პოსტი დატოვა მისმა წინამორბედმა ჟანო იმრომ.

საქმეში უკვე ფიფაც ჩაერია. მსოფლიო ფეხბურთის ზემდგომმა ორგანომ უნგრელებს ყველაფრის გასარკვევად დრო 9 აგვისტომდე მისცა. სწორედ ამ დღეს გაიმართება უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის სხდომა, რომელსაც ფიფას წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

— თითქმის ყველა გუნდს აქვს ფინანსური სიძნელეები, მაგრამ ზოგიერთი მოთამაშეებსაც კი ვეღარ უხდის ფულს, ამიტომ არც არის გასაკვირი, თუ გაისად ჩემპიონატი არ ჩატარდება. ნურავის ეგონება, რომ პასუხისმგებლობას გავურბივარ, უბრალოდ, ამ პრობლემების მოგვარება ჩემს ძალებს აღემატება — თქვა აწ უკვე ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჟანოშ სინელმა.

# რუსის უკმაყოფილება

## დაშავებული დმიტრი ხარინი ჯონ ბარნსს ეძავრება

შოტლანდიის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა გლაზგოს „სელტიკმა“ რუსი მეკარე დმიტრი ხარინი სულ რაღაც ერთი თვის წინ გადაიბირა ლონდონის „ჩელსიდან“, ახალმა შენაძენმა კი უკვე „სელტიკის“ მწვრთნელი ჯონ ბარნსიც გააკრიტიკა. იგი უკმაყოფილოა ბარნსის წვრთნის პროგრამით და მიიჩნევს, რომ გუნდს სპეციალისტი აკლია. დმიტრი ხარინის აზრით, მისი ტრავმა უპირველეს ყოვლისა, კლუბის ახალი სეზონისთვის შემუშავებული მცდარი მოსამზადებელი პროგრამის ბრალია.

ხარინმა, რომელიც გლაზგოს კლუბს ტურნეში ახლავს, კონგსვინგერში, „სელტიკის“ ბაზაზე ვარჯიშისას მუხლის მყესები და მჭიმავი კუნთი დაიზიანა. ტრავმის გამო ხარინმა კლუბის ორივე ამხანაგური თამაში გამოტოვა „ჰამ კამთანაც“ და „ოლბორგთანაც“. სავარაუდოდ იგი ვერც „კონგსვინგთან“ დაპირისპირებაში მიიღებს მონაწილეობას.

ცნობისთვის: მას შემდეგ, რაც „სელტიკი“ მეკარეთა მწვრთნელმა პეტერ ლეჩფორდმა დატოვა, კლუბი ძლიერი სპეციალისტის ძიებაშია. გლაზგოელებმა ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედსაც“ მიმართეს მეკარეთა მწვრთნელის ტერი ჯენოეს თავისთან გადაყვანის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ.

— იმ ექვსი წლის მანძილზე, რაც „ჩელსიში“ დავყავი, ბევრი სირბილი სულაც არ მჭირდებოდა. მე უმეტესწილად მეკარის ვარჯიშებს ვსწავლობდი და მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. ვხვდები, რომ შოტლანდიური ფეხბურთი მოთამაშეებისგან ძლიერ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეკარეებისთვის ნაკლები სირბილია საჭირო, ვიდრე, ვთქვათ, მინდვრის ფეხბურთელებისთვის — განაცხადა ხარინმა და განაგრძო — ჩვენ რომ მეკარეების მწვრთნელი გვყოლოდა, დარწმუნებული ვარ, მუხლს არ დავიშავებდი. „ჩელსიში“ მეც და კიდევ სხვა მეკარეებს ედი ნივიეკი გვავარჯიშებდა. ის თავის საქმის შესანიშნავი მცოდნეა და სეზონისწინა შეკრებაზე სირბილით სულს სულაც არ გვხდიდა. აქ, გლაზგოში, სიტუაცია ძალიან განსხვავებულია.

ჯონ ბარნსს, სახელგანთქმულ ფეხბურთელს და „სელტიკის“ მწვრთნელობას შეჭიდებულს, ცხადია, ხარინის გაზეთებში გამოთქმული აზრი გულს სულაც არ გაუხარებდა, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა? შოტლანდიურ კლუბში მეკარეთა მწვრთნელი არაა და უცბად ვერც გაჩნდება. ჯონ ბარნსი ხარინის სიტყვებს ასე პასუხობს: „გვესმის, ცუდია, რომ მეკარეთა მწვრთნელი არ გვყავს, მაგრამ რა ვქნათ? ცხოვრება არც მათით დაწყებულა და მით უმეტეს, არც მათით დასრულდება. ჩვენ ვეძებთ საჭირო კაცს და ვიპოვით კიდეც“.

„სელტიკისთვის“ მეკარეთა მწვრთნელის მოძებნა, ჯონ ბარნსის დარად, ახალ თავკაცს — კენი დალგლიშსაც დაევალა. როცა ბარნსი „სელტიკის“ მწვრთნელად დაინიშნა, კენი დალგლიში კლუბის დირექტორად აირჩიეს. როცა დალგლიში ინგლისურ კლუბებს — „ბლექბერნს“ და „ნიუკასლს“ წვრთნიდა, შესანიშნავ სპეციალისტ ტერი ჯენოესთან ერთად მუშაობდა. ახლა სწორედ მის გადაბირებას ლამობენ სქოთები...

„სელტიკში“ სხვა პრობლემებიცაა, ბარნსს კიდევ ერთი საკითხი ვერ გადაუწყვეტია — სამი მეკარიდან რომელს მიანდოს გუნდის კარი — დმიტრი ხარინს, ჯონთან გოულდს თუ სტიუარტ კერს.

— ყველა ბეჯითად შრომობს და ვერ გავრკვეულვარ, რომელია ძლიერი. ვნახოთ, საკითხს აუცილებლად გადავწყვეტ — ამბობს ბარნსი.

...„ოლბორგთან“ შეხვედრაში სტიუარტ კერი იცავდა შოტლანდიელთა კარს.

ირაკლი ილაშვილი

# კომპენსაცია გვინდაო

ავსტრალიური „კარლტონი“ ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ საკომპენსაციო თანხას სთხოვს. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულებისა და მწვანე კონტინენტის ეროვნული გუნდის 18 ივლისს გამართულ შეხვედრაში მანჩესტერელი ენდი კოული განგებ ეუხეშა ავსტრალიელთა მცველს სიმონ კოლოზიმოს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ნახევარი წლით გამოეთიშა აქტიურ სპორტს.

ენდი კოული

სარბიელის არქივიდან

მიუხედავად იმისა, რომ კოულმა საქვეყნოდ მოიხადა ბოდიში და თქვა, ჩემს საქციელს ვინანიებო, კოლოზიმოს კლუბი „კარლტონი“ ამით არ დაკმაყოფილდა.

ავსტრალიელებმა უკვე მიმართეს მელბურნის ერთ-ერთ საადვოკატო ფირმას, რომელიც ამ საქმეს წარმართავს. „კარლტონის“ წარმომადგენელთა განცხადებით, თუ მანჩესტერელები ორ მოთხოვნას არ დაკმაყოფილებენ, მაშინ ისინი სასამართლოში შეიტანენ სარჩელს. ჯერჯერობით არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ არ ოდენობის თანხას ითხოვენ ავსტრალიელები, თუმცა საზღვარგარეთული საინფორმაციო წყაროები ირწმუნებიან, რომ საქმე რამდენიმე მილიონ დოლარს ეხება.

სანამ ავსტრალიელები „იუნაიტედისგან“ საკომპენსაციო თანხის გადახდაზე ფიქრობენ, ინგლისის ჩემპიონები თავიანთ საერთაშორისო ტურნეს აგრძელებენ.

მწვანე კონტინენტის ეროვნულ გუნდთან ორი მატჩის შემდეგ „იუნაიტედი“ ჩინეთს ჩავიდა და გასულ სამშაბათს იქაურ უძლიერეს კლუბს, შან ხაის „შენ ხუას“ ეთამაშა.

ჩინელი გულშემატკივარი ცოტა არ იყოს, განაწყენდა, რომ „მანჩესტერის“ შემადგენლობაში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, დევიდ ბექემი, არ თამაშობდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, შანხაის 56 500 ათასიანი სტადიონი პირთამდე გაივსო. ბილეთის ფასი ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია, საკმაოდ ძვირი, 60-400 იენი (7,25-48 დოლარი) ღირდა.

ევროპელებმა არც ამჯერად შეირცხვინეს თავი და მატჩი 2:0 მოიგეს. როგორც ჩინური პრესა უიწყება, „იუნაიტედმა“ ბრწყინვალედ ითამაშა, რითაც ფრიად მოხიბლა აზიელი გულშემატკივარი.

მანჩესტერელთა ტურნე უკვე დასასრულს მიუახლოვდა. მათ კიდევ ერთი თამაში დარჩათ გასამართი. 24 ივლისს ჰონკონგში „იუნაიტედი“ სამხერთ ჩინეთის ნაკრებს ეთამაშება, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდებიან.

ძოკა ჭკადუა

## შვეიცარია

IV ტური

**ლოზანა 0:1 სერვეტი**

0:1 ვურენსი (30)

**ძსპვაძსი 1:1 ივერდონი**

1:0 სენე (25), 1:1 ადაოზინო (73)

**ლუგანო 1:1 ლუცერნი**

1:0 მანინი (11), 1:1 დანტაში (50)

**ბაზელი 1:1 გრასჰოპერი**

1:0 კრავერო (36), 1:1 დე ნაპოლი (74)

**არაუ 1:0 სენტ გალენი**

1:0 ივანოვი (69)

**ციურიხი 3:1 დელემონი**

1:0 ჯამარაული (60), 1:1 ნდლოვუ (79), 2:1 ფრიკი (90), 3:1 ბარტლეტი (90)

ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, ანდრეოლი, კვენტინი (შტოკლასა 76), ჯანინი (კასტილიო 34), კუბე, სანტანა, დუგლასი (ოდისე 67), ჯამარაული, ფრიკი, ბარტლეტი

ოთხშაბათს „ციურიხმა“ წლევანდელ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. რაიმონდო პონტეს შეგირდებმა საკუთარ მინდორზე ლიგის დებიუტანტ „დელემონს“ გაჭირვებით სძლიეს — 3:1, თუმცა შვეიცარიელ ჟურნალისტებს თუ ვერწმუნებით, სამი ქულის ღირსი „დელემონი“ უფრო იყო.

„მთელი მატჩის განმავლობაში გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი ჯამარაული გახლდათ“ — ასე შეაფასა „ციურიხის“ თამაში „დელემონის“ წინააღმდეგ პოპულარულმა შვეიცარიულმა გაზეთმა „ტაგეს ანციგერმა“.

გოჩა ჯამარაულმა მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა, „ციურიხის“ მოგებაშიც ლომის წილი დაიდო. მოსაწყენი და უფერული თამაში მე-60 წუთზე სწორედ ქართველმა ლეგიონერმა გამოაცოცხლა, როდესაც ფრიკის კარგი პასით ლამაზი გოლი გაიტანა და ანგარიშიც გახსნა.

ჯამარაულის გოლამდე კი თამაში თანაბრად მიმდინარეობდა. სახიფათო მომენტები „ციურიხის“ კართან უფრო მეტი შეიქმნა, თუმცა ამაოდ, ბურთის გატანა ვერავინ მოახერხა.

79-ე წუთზე, წინა ტურის მსგავსად, კიდევ ერთი უხეში შეცდომა დაუშვა შვეიცარიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ მარკო პასკოლომ, რომელმაც ნდლოვუს იოლად ასაღები დარტყმა ვერ მოიგერია — 1:1. ყველაფერი უკანასკნელ წუთებში გადაწყდა. ჯერ ფრიკმა დაარტყა უნაკლოდ საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული ჯარიმა, მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი სამხრეთაფრიკელმა შონ ბარტლეტმაც გამოიჩინა თავი.

ამ გამარჯვების შემდეგ „ციურიხმა“ აუტსაიდერთა რიგებს თავი დააღწია და ცხრილის შუაგულში დამკვიდრდა.

ჯერჯერობით პირველ ადგილზე მყოფი „სენტ გალენი“ რომ საჩემპიონო გუნდი არ არის, ოთხშაბათს გამოჩნდა. არცთუ ძლიერ „არაუსთან“ საგარეო მატჩში ლიდერი ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა. მასპინძლები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. მატჩის ბედი, წესით და რიგით, პირველივე ტაიმში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ „სენტ გალენი“ სამჯერ ძელმა იხსნა და კიდევ რამდენჯერმე — არაუელთა უზუსტობამ. ერთადერთი გოლი 69-ე წუთზე გავიდა. მინდორზე ახალშესული ბულგარელი ივანოვის თავურს შტილი ვერ გაუმკლავდა და 339 წუთის შემდეგ პირველი ბურთი გაუშვა.

ნელ-ნელა იკრებს ძალას ჩემპიონი „სერვეტი“. ჟენეველები ოთხშაბათს ბრინჯაოს პრიზიორ „ლოზანას“ ესტუმრნენ და შინ სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდნენ. „სერვეტმა“ ვურენსის მიერ გატანილი გოლით მოიგო და ახლა პირველ ადგილზე მყოფ „სენტ გალენს“ მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩება.

ციურიხის „გრასჰოპერმა“, რომელიც ამ დღეებში ექსდორტმუნდელი შტეფან შაპუიზათი გაძლიერდა, სტუმრად „ბაზელს“ 1:1 დაუზავდა. თუმცა შაპუიზას ამ მატჩში არ უთამაშია. იგი პირველ შეხვედრას „კალიების“ შემადგენლობაში სავარაუდოდ ხვალ, „ქსამაქსის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვანო ოძროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ. გალენი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| სერვეტი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| გრასჰოპერი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:2 | 6 |
| ქსამაქსი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| ლუგანო | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ციურიხი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| არაუ | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| ლუცერნი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ივერდონი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ბაზელი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ლოზანა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| დელემონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |

REUTERS ციურიხიდან

სტეფან შაპუიზა ციურიხელთა ყურადღების ცენტრში მოექცა

ულფ კირსტენი

# კირსტენი ბჭობს. რიბეკი...

**გერმანიის** ეროვნული ნაკრებისა და ლევერკუზენის „ბაიერის“ თავდამსხმელმა ულფ კირსტენმა გუშინ საზოგადოებას ამცნო, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში აღარ ითამაშებს.

„ევროპის მომავალ ჩემპიონატზე თამაში ჩემი უმთავრესი მიზანია. დარწმუნებული ვარ ფინალური ეტაპის საგზურს მოვიპოვებთ და ბელგია-ჰოლანდიაში თავის გამოჩენის საშუალება მომეცემა. თანაც ძალიან მინდა, ნაკრებში ნათამაშები მატჩების რიცხვი 100-მდე ავიყვანო“ — განუცხადა 33 წლის ფეხბურთელმა თანამემამულე ჟურნალისტებს.

კირსტენს დღემდე 93-ჯერ დაუცავს თავისი ქვეყნის უპირველესი გუნდის ღირსება. აქედან მან 49 შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში ჩაატარა, ხოლო 44 გაერთიანებული გერმანიისაში.

კირსტენი 1990 წლამდე დრეზდენის „დინამოში“ თამაშობდა, ხოლო სახელი იქიდან „ლევერკუზენში“ გადასვლის შემდეგ გაითქვა. „ბაიერის“ შემადგენლობაში სამჯერ გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი, ნაკრებშიც არაერთხელ გამოუჩენია თავი.

„ეს ოცნება თუ ავისრულე, მაშინ ჩემს კარიერას წარმატებულად ჩავთვლი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიღწეულით დავკმაყოფილდები და ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდე. „ლევერკუზენის“ ქომაგებს კიდევ დიდხანს და ბევრჯერ გავახარებ“ — აღნიშნა მან.

ისე, კირსტენს თავისი მიზნის მისაღწევად ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს. გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევ ქვეჯგუფში კი ლიდერობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი არ აპირებს მის მიწვევას და სავსებით მოსალოდნელია, ეს არც მომავალში გააკეთოს. მით უმეტეს, ბოლო დროს ხშირად გაუკრიტიკებიათ ნაკრებში ვეტერან ფეხბურთელთა სიმრავლის გამო. ახლაც გერმანიის ნაკრები მექსიკაში იმყოფება კონფედერაციის თასზე მონაწილეობის მისაღებად, კირსტენი კი მეორე დღეა, შვეიცარიის ქალაქ სენტ გალენში იმყოფება შეკრებაზე „ლევერკუზენთან“ ერთად, თუმც, როგორც ჩანს, თავდამსხმელს ეს არ ადარდებს.

„სულაც არ ვნაღვლობ იმას, რომ ამჟამად ნაკრებთან ერთად არ ვარ. ეს უკეთესიც კია, რადგან გუნდში უფრო კარგად მოვემზადები და ჩემთვის უმნიშვნელოვანეს სეზონსაც საუცხოო ფორმაში შევხვდები“ — იხტიბარს არ იტეხს კირსტენი.

# დამსახურებული ფეხბურთელები

**ცხოვრება** ავიწყვეთო, ამათ უნდა თქვან — ფეხბურთელებად იწოდებიან, კლუბებთან რამდენიმეწლიანი ხელშეკრულებები აკავშირებთ, თამაშით კი იშვიათად თამაშობენ. უფრო სწორად, ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან. მეორე გუნდში არიან. აქაც ერთი ორჯერ წაკრავენ ბურთს ფეხს, მერე კი შინ წავლენ, მშვიდად დაიძინებენ.

ცხოვრება გრძელდება, თუმც ვისთვის როგორ. ზოგს გათენების ეშინია, იცის, კვლავ მძიმე სამუშაო ელის, იცის, რომ საარსებოდ იბრძვის და ეს ბრძოლა ძალიან დიდხანს გაგრძელდება, ზოგისთვის კი ყოველი ახალი დღე ახალ ამბებთანაა დაკავშირებული, ცხადია, სასიხარულოსთან.

სტიუარტ პირსი, ინგლისელთაგან საკმაოდ დაფასებული ფეხბურთელი იმ მოთამაშეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ფეხბურთელები არიან და ამავდროულად ფეხბურთსაც არ თამაშობენ.

„ნიუკასლ იუნაიტედთან“ პირსს სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ერთი წელი ფეხბურთელმა უკვე გალია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კლუბის შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა, ქონებას კიდევ ერთი მილიონი შემატა — ის ხომ კვირაში 25 ათას გირვანქას იღებს! საოცარია! ათასში ერთხელ გამოვა, ვინმე სუსტ გუნდთან ითამაშებს და ისიც სანაცვლოდ თვეში ერთხელ, 100 ათას გირვანქას მიიღებს, ვერაფერს იტყვი, კარგია, ძალიან კარგი.

გავა ის ორი წელიწადი და ფულიც მოვა. ასეთია დამსახურებულ ფეხბურთელთა ცხოვრება.

რაღა პირსი და რაღა რობ ლი? — ვარჯიშებზე დადიან, მშვიდად ცხოვრობენ და ათასობით გირვანქას იღებენ.

ჩვენ რა ვქნათ? ვიყოთ წყნარად და ეგებ გაგვიღიმოს ბედმა.



Coca-Cola

# FIFA WORLD RANKING

ოთხშაბათს, 21 იულისს კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა ფიფა — კოკა-კოლას რეიტინგი. ცვლილებები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაცაა. თუმცა რეიტინგის სათავეში დიდი ძვრები არ შეინიშნება — ბრაზილია კვლავ ლიდერობს, მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი კი ისევ მეორეა.

ფიფამ ახალ რეიტინგში საერთო ჯამში 67 შეხვედრის შედეგი გაითვალისწინა, რომელთა უმეტესობა რამდენიმე დღის წინ დასრულებულ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე მოდის.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, უთამაშებლობამ და ზედიზედ სამმა მარცხმა თავის შედეგი გამოიღო — საქართველო 59-ე ადგილიდან ოთხი ადგილით ჩამოქვეითდა.

ახალი რეიტინგი 18 აგვისტოს გამოქვეყნდება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | 835 | 27 | რუსეთი | 602 |
| 2 | საფრანგეთი | 762 | 28 | ტუნისი | 596 |
| 3 | ჩეხეთი | 753 | 29 | ს. აფრიკა | 595 |
| 4 | იტალია | 726 | 30 | აშშ | 594 |
| 5 | გერმანია | 720 | 31 | შოტლანდია | 592 |
| 6 | არგენტინა | 719 | 32 | ზამბია | 589 |
| | ხორვატია | 719 | 33 | ბელგია | 587 |
| 8 | ესპანეთი | 714 | 34 | ბულგარეთი | 573 |
| 9 | რუმინეთი | 694 | 35 | საბერძნეთი | 568 |
| 10 | ნორვეგია | 690 | 36 | ირლანდია | 567 |
| 11 | მექსიკა | 688 | 37 | კორეა | 563 |
| 12 | პორტუგალია | 682 | 38 | ეგვიპტე | 562 |
| 13 | ჰოლანდია | 680 | | თურქეთი | 562 |
| 14 | ინგლისი | 672 | 40 | საუდეთი | 556 |
| 15 | შვედეთი | 666 | 41 | პერუ | 554 |
| 16 | პარაგვაი | 647 | 42 | ურუგვაი | 549 |
| 17 | დანია | 632 | | იამაიკა | 549 |
| 18 | კოლუმბია | 629 | 44 | იაპონია | 542 |
| 19 | მაროკო | 626 | 45 | კოტ დივუარი | 540 |
| 20 | ავსტრია | 625 | 46 | განა | 532 |
| 21 | იუგოსლავია | 624 | | ისლანდია | 532 |
| 22 | ჩილე | 618 | 48 | უნგრეთი | 531 |
| 23 | სლოვაკეთი | 613 | 49 | ტრინიდადი | 529 |
| 24 | უკრაინა | 611 | 50 | ირანი | 527 |
| 25 | ისრაელი | 610 | 51 | კამერუნი | 523 |
| 26 | პოლონეთი | 607 | | ლიტვა | 523 |
| 53 | ბოლივია | 517 | | | |
| 54 | შვეიცარია | 515 | | | |
| 55 | ქუვეითი | 515 | | | |
| 56 | ეკვადორი | 509 | | | |
| 57 | ალბანეთი | 504 | | | |
| 58 | ჩინეთი | 502 | | | |
| 59 | ზაირი | 499 | | | |
| | ფინეთი | 499 | | | |
| 61 | ავსტრალია | 498 | | | |
| 62 | სლოვენია | 493 | | | |
| 63 | საქართველო | 492 | | | |
| 64 | ლატვია | 491 | | | |
| 65 | საამიროები | 490 | | | |
| 66 | მაკედონია | 484 | | | |
| 67 | კვიპროსი | 483 | | | |
| 68 | კოსტა რიკა | 468 | | | |
| 69 | ალჟირი | 466 | | | |
| 70 | ნიგერია | 460 | | | |
| | ჩრდ. ირლანდია | 460 | | | |
| 72 | ჰონდურასი | 457 | | | |
| 73 | მალი | 456 | | | |
| 74 | გაბონი | 455 | | | |
| 75 | ზიმბაბვე | 450 | | | |
| 76 | გვატემალა | 447 | | | |
| 77 | ბურკინა ფასო | 443 | | | |
| 78 | ტაილანდი | 439 | | | |
| 79 | ტოგო | 437 | | | |
| 80 | კუბა | 436 | | | |
| | ყატარი | 436 | | | |
| 82 | გვინეა | 435 | | | |
| 83 | ნამიბია | 430 | | | |
| 84 | უელსი | 419 | | | |
| 85 | სენეგალი | 415 | | | |
| 86 | ესტონეთი | 412 | | | |
| | ომანი | 412 | | | |
| | უზბეკეთი | 412 | | | |
| 89 | სომხეთი | 410 | | | |
| 90 | ბოსნია | 408 | | | |
| | სალვადორი | 408 | | | |
| 92 | ბელარუსი | 403 | | | |
| 93 | მოზამბიკი | 401 | | | |
| 94 | ალბანეთი | 397 | | | |
| 95 | ლიბერია | 394 | | | |
| 96 | კონგო | 393 | | | |
| 97 | კანადა | 389 | | | |
| 98 | მოლდოვა | 372 | | | |
| 99 | აზერბაიჯანი | 371 | | | |
| 100 | კენია | 368 | | | |

# წარსულის შედეგები

CHAMPIONS LEAGUE · Cup Winners' Cup · UEFA CUP

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 676 | სვიფტ ესპერანჟი (ლუქსემბურგი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |
| 677 | ლიმერიკი (ირლანდია) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |
| 678 | ვენლოსე (დანია) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |
| 679 | გოუ ეჰედ იგლზი (ჰოლანდია) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| 680 | დიგენისი (კვიპროსი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| 681 | თურანი (ტავუზი, აზერბაიჯანი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| 682 | ბირკირკარა (მალტა) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |
| 683 | კოპარიტი (კუოპიო, ფინეთი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |
| 684 | ლეხია (გდანსკი, პოლონეთი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:10 | 0 |
| 685 | ლიმერიკ სიტი (ირლანდია) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |
| 686 | იზოლა (სლოვენია) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |
| 687 | დაუგავა (რიგა, ლატვია) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 4:13 | 0 |
| 688 | გზირა იუნაიტედი (მალტა) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |
| 689 | მოსი (ნორვეგია) | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:15 | 0 |
| 690 | ფოლა (ეში, ლუქსემბურგი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:11 | 0 |
| 691 | ელექტროპუტერე (კრაიოვა, რუმინეთი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:10 | 0 |
| 692 | B 1901 (ნიკობინგი, დანია) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 6:17 | 0 |
| 693 | ჰიფიკი (ჰელსინკი, ფინეთი) | 4 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:16 | 0 |
| 694 | მარსა (მალტა) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |
| 695 | B 68 (ფარერები) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |
| 696 | ერევანი (სომხეთი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |
| 697 | ალკი (ლარნაკა, კვიპროსი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:12 | 0 |
| 698 | B 71 (ფარერები) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:16 | 0 |
| 699 | აკურეირი (ისლანდია) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:14 | 0 |
| 700 | დროგჰედა იუნაიტედი (ირლანდია) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:14 | 0 |
| 701 | გელვეი იუნაიტედი (ირლანდია) | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:19 | 0 |
| 702 | ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი) | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 3:18 | 0 |
| 703 | F 91 (დუდელანჟი, ლუქსემბურგი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:19 | 0 |
| 704 | აპოლონია (ფიერი, ალბანეთი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:17 | 0 |
| 705 | ინტერ კაბლეტელი (უელსი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:16 | 0 |
| 706 | HPS (ჰელსინკი, ფინეთი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:19 | 0 |
| 707 | კლიფტონვილი (ჩრდ.ირლანდია) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:21 | 0 |
| 708 | კოკოლა (ფინეთი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:23 | 0 |
| 709 | ჟენეს ოშერეჟი (ლუქსემბურგი) | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:21 | 0 |
| 710 | ეპა (ლარნაკა, კვიპროსი) | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 0:22 | 0 |
| 711 | ცურიეკი (მალტა) | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:27 | 0 |
| 712 | ვიკინგური (რეიკიავიკი, ისლანდია) | 5 | 10 | 0 | 0 | 10 | 5:32 | 0 |
| 713 | პრინჩიპატი (ანდორა) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:31 | 0 |
| 714 | სტად დუდელანჟი (ლუქსემბურგი) | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:32 | 0 |
| 715 | რაბატ აიაქსი (მალტა) | 4 | 8 | 0 | 0 | 8 | 0:40 | 0 |

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

**მილანი:** იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დიეგო სანჩესი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეგინა, დიდა ტოტენჰამი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი);** **ლაციო:** პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეგინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** **იუვენტუსი:** დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** **ინტერი:** ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი);** **ფიორენტინა:** ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** **პარმა:** აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** **რომა:** პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** **ბოლონია:** კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** **უდინეზე:** მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანესი, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია);** **ბარი:** მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი);** **კალიარი:** კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევეზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** **ლეჩე:** სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** **პერუჯა:** კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** **პიაჩენცა:** ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** **რეჯინა:** ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** **ტორინო:** ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტიცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი);** **ვენეციი:** რეკობა (ინტერი), აჰინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეშა, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** **ვერონა:** ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

## ინგლისი

**მანჩესტერ იუნაიტედი:** პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი);** **არსენალი:** კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალეი (მიუნხენი, გერმანია);** **ჩელსი:** **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლეკბერნი);** **ლივერპული:** სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), **აბუბაქარ „ტიტი" კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლეკბერნი), სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია);** **ნიუკასლი:** დავიდ ტერეე (ნიცა, საფრანგეთი); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი);** **ევერტონი:** იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **ქოვენთრი:** ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა)*, **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);** **ასტონ ვილა:** სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული); ჯორჯ ბოატენგი (ქოვენთრი)***

## გერმანია

**ბაიერნი:** ალი დაეი (ჰერტა), თომას ჰელმერი (სანდერლენდი); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), პაულო სერჟიო (რომა), როკე სანტა კრუსი (ოლიმპია, პარაგვაი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი);** **დორტმუნდი:** თომას ჰესლერი (მიუნხენი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი); **ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), კრისტიან ვიორნსი (პსჟ, საფრანგეთი), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი);** **შალკე:** ფროდე გროდასი (რასინგი, ესპანეთი); **შტუტგარტი:** ფრანკ ვერლაატი (აიაქსი, ჰოლანდია), ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი); **სეზარ გორდონი (სან პაულუ, ბრაზილია);**

## ესპანეთი

**ბარსელონა:** სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** **რეალი:** ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჩჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (ვენჩლერბირლიგი, თურქეთი);** **სელტა:** მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ეკტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველაკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** **სარაგოსა:** გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველოსა (სალამანკა);** **ატლეტიკო:** ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველაკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** **ბეტისი:** ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); **დეპორტივო:** მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავმა იოანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიკტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე);** **მალიორკა:** დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენკო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ცტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** **ბილბაო:** კორონო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** **სოსიედადი:** იგორ კვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** **ალავესი:** ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტი, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერეკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** **ვალენსია:** ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალაბი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია);** **რასინგი:** ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიკტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** **მალაგა:** **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი);** **კეკი მუსამბა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** **ოვიედო:** მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უსსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** **ესპანიოლი:** ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველასსანი (ცტრემადურა), მოლნარი (ზალაგერცეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორონო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** **სევილია:** ველასკო (სელტა); **ანელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი იტალია);** **ვალიადოლიდი:** ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** **ნუმანსია:** პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენკო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** **რაიო ვალეკანო:** ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## საფრანგეთი

**ბორდო:** ალი ბენარბია (პსჟ), ივან პერესი (დეპორტივო, ესპანეთი), რომან ფერიე (მონპელიე), კიკი მუსამბა (მალაგა, ესპანეთი), ჟერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბარტლი (ტულუზი), ჟერომ ბონისელი (დეპორტივო, ესპანეთი), ჟულენ ესკუდო (კანი), ტედი რიშარი (ტულუზი), ჟან კრისტოფ რუვიე (მონპელიე), სტეფან ზიანი (დეპორტივო, ესპანეთი);** **მარსელი:** სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრავო (ნიცა), აბუბაქარ „ტიტი" კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო (ევერტონი, ინგლისი), პავლო კალანდრია (ურაკანი, არგენტინა), სტეფან დალმა (ლანსი), ერიკ დეკრუა (ნანტი), კაბა დიავარა (არსენალი, ინგლისი), ლილიან მარტინი (მონაკო), სებასტიან პერესი (ბასტია), სტეფან ტრევეზანი (გინგამი);** **მონაკო:** ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ დუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გავა (რენი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), ლილიან მარტინი (მარსელი), რობერტ შპეხარი (ვერონა, იტალია); **მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი, არგენტინა), როხერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო სიმონე (პსჟ);** **პსჟ:** ადაილტონი (ვერონა, იტალია), მარკო სიმონე (მონაკო), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო პანტელიჩი (სელტა, ესპანეთი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი, გერმანია); **ალი ბენარბია (ბორდო), კრისტიანი (ინტერნასიონალი, ბრაზილია), დომინიკ კასაგრანდე (სევილია), სეზარი (პორტუგეზა, ბრაზილია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური), ლორან რობერტი (მონპელიე);**

## სხვადასხვა

**პორტუ (პორტუგალია):** იუსუფ ჩიპო (ქოვენთრი), ზლატკო ზაპოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **სპორტინგი (პორტუგალია):** გაბრიელ ჰაინცე (ვალიადოლიდი, ესპანეთი), სიმაო საბროსა (ბარსელონა, ესპანეთი); **პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);** **ლიერსი (ბელგია):** სტენლი მენცო (აიაქსი, ჰოლანდია); **რეინჯერსი (შოტლანდია):** სტეფან გივარში (ოსერი, საფრანგეთი), ლიონელ შარბონიე (პერუჯა, იტალია)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * — უახლესი ტრანსფერი*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინტერტოტოს თასი. V ეტაპი. მეორე მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.07 | იოკერიტი (ფინეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი) | (4,0-1,15) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ვაშაში (უნგრეთი) — პოლონია (პოლონეთი) | (2,5-1,35) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | რენი (საფრანგეთი) — ლუსტენაუ (ავსტრია) | (1,25-3,1) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | პერუჯა (იტალია) — ტრაბზონი (თურქეთი) | (1,05-7,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | დუისბურგი (გერმანია) — ქოჯაელი (თურქეთი) | (— -25,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ჰამარბი (შვედეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) | (3,5-1,2) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | აუსტრია (ავსტრია) — სტ. ტრუიდენი (ბელგია) | (1,05-7,5) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | როსტსელმაში (რუსეთი) — ვარტექსი (ხორვატია) | (1,05-7,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | მეცი (საფრანგეთი) — ლოკერენი (ბელგია) | (1,05-7,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | მონპელიე (საფრანგეთი) — ესპანიოლი (ესპანეთი) | (1,05-7,5) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | იუვენტუსი (იტალია) — ჩაჰლაული (რუმინეთი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ბაზელი (შვეიცარია) — ჰამბურგი (გერმანია) | (1,35-2,5) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24-25.07 | ლეხი — პოგონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სტომილი — გროცლინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | რუხი — ვიძევი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ვისლა — პლოცკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ლკს — ოდრა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | გურნიკი — ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ზაგლებე — ამიცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### უკრაინის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | დინამო — კარპატი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ჩორნომორეცი — მეტალისტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | მეტალურგი — ცსკა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ზირკა — ნივა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| | ტავრია — მარიუპოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | დნეპრი — პრიკარპატია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | კრივბასი — შახტარი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ვორსკლა — ზაპოროჟიე | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24-25.07 | დელემონი — არაუ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ივერდონი — ლუგანო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სერვეტი — ციურიხი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ლუცერნი — ლოზანა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### დანიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | ბრიონდბიუ — ლიუნგბიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 25.07 | ვეილე — სილკებორგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | აკადემისკი — აგფ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ჰერფოლგე — ოლბორგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ვიბორგი — კოპენჰაგენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 26.07 | ესბიერგი — ოდენსე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.07 | ბოდიო გლიმტი — მოლდე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | კონგსვინგერი — ბრანი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | ლილესტრიომი — ვიკინგი | 1,7 | 3,4 | 3,4 |
| | მოსი — სტაბეკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | სკეიდი — ოდ გრენლანდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ტრომსიო — რუსენბორგი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | ვოლერენგა — სტრიომსგოდსეტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### კონფედერაციათა თასი

I ტური (მექსიკაში)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | ბრაზილია — გერმანია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ზელანდია — აშშ | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 25.07 | ბოლივია — ეგვიპტე | 2,1 | 2,3 | 3,2 |
| | მექსიკა — საუდეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### საფრანგეთის სუპერთასი (ამიენში)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | ბორდო — ნანტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

*18 წლამდე ევროპის ჩემპიონატის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

### ქვეყნის ჩემპიონატები

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |
| **იტალია** | |
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 3,0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |
| **შოტლანდია** | |
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკადემიკსი | 5,0 |

### რეალური გუნდი გამარჯვების

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

## ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

### რეალური ქვეყნის წარმოდგენილი გამარჯვების

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

## უეფას თასი

UEFA CUP

### რეალური ქვეყნის წარმოდგენილი გამარჯვების

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რეალური გუნდი გამარჯვების

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| გენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტესი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ელიოტს თირკმლების გადანერგვა მოუწევს

62 ათასი ამერიკელი დონორის იმედადაა. ისინი ელიან გულს, ფილტვს, თირკმელს, პანკრეასს...

თუ მათ ეს ორგანოები არ გადაუნერგეს, მაშინ...

მარტო შარშან 4 ათასი კაცი გარდაიცვალა მანამ, სანამ მათთვის სასურველი გადასანერგი ორგანო მოინახა...

მალე მომლოდინეთა სიას კიდევ ერთი ამერიკელი, 31 წლის შონ ელიოტი შეუერთდება. მას თირკმელი სჭირდება, უფრო სწორად, ორი თირკმელი.

შესაძლოა შონ ელიოტს ცდა არ მოუხდეს, რადგან ექიმებმა მისი ოჯახის წევრებს გამოკვლევა ჩაუტარეს. თუკი ანალიზის პასუხი დადებითი იქნა და ოჯახის წევრები ელიოტისთვის თირკმელს გაიღებენ, მაშინ ავადმყოფს სიაში ჩაწერა აღარ დასჭირდება, ეგრევე საოპერაციოდ დაწვება.

საბრალო ელიოტი და, საერთოდ, ყველა, ვისაც კი რაიმე ორგანო გადასანერგი აქვს. გეთანხმებით, რომ ამგვარი თემა უფრო სამედიცინო გაზეთისთვის ან ჟურნალისთვის არის ზედგამოჭრილი. ეს ამბავი „სარბიელში" არც მოხვდებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შონ ელიოტი კალათბურთელია, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება.

ელიოტი „სან ანტონი სფურზის" ფორვარდია და წლეულს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა. ყველას ახსოვს უკვე ლეგენდად ქცეული სამქულიანი, რომელიც შონმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" ჩაუდო დასავლეთის კონფერენციის ფინალური სერიის მეორე მატჩში. დამთავრებამდე 9,9 წამი რჩებოდა, ელიოტმა მარჯვენა ფლანგიდან ისროლა და „სფურზმა" 86:85 მოიგო.

„სან ანტონიომ" ჩემპიონობა ღირსეულად აღნიშნა, მოთამაშეებმა იზეიმეს, დაისვენეს, სამედიცინო შემოწმება გაიარეს და...

„თირკმლის გადანერგვა აუცილებელია. მარტო მკურნალობა შედეგს აღარ მოგვცემს. რჩება ორი გზა — ან ახალი თირკმლები, ანაც ნოემბრიდან — დიალიზი. წინაღმდეგ შემთხვევაში, თირკმელებმა შეიძლება ნებისმიერ დროს უარი თქვან თავიანთი ფუნქციის შესრულებაზე" — თქვა ელიოტის მკურნალმა ექიმმა, უროლოგმა ჯონ რეინეკმა.

რაღა რჩება ელიოტს? თუ თირკმლებმა თავიანთი ფუნქცია არ შეასრულეს, მაშინ, ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, დასაფლავებისა და ქელეხის ხარჯებზე აქ საუბარი აღარაა. მეორე ვარიანტი დიალიზია. ეს რთული სამედიცინო პროცედურაა. მარტივად რომ ვთქვათ, თირკმლის ფუნქციას ასრულებს აპარატი. თანაც, მდგომარეობას ის ართულებს, რომ ამით ვერ მორჩები. თუკი დიალიზი გჭირდება, მისი სამსახურით სიცოცხლის ბოლომდე უნდა ისარგებლო. მაგრამ, მოდით, ელიოტს მოვუსმინოთ: „შესანიშნავი კარიერა მაქვს. თუკი მისი დასრულება ამ ავადმყოფობის გამო მიწერია... მე არ ვთვლი, რომ ჩემი კარიერის ბოლო მოახლოვდა. მე თამაში მინდა და ვითამაშებ კიდეც. ამისთვის არაფერს დავიშურებ".

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ელიოტი თირკმლებს გადაინერგავს. ახლა მას დონორი სჭირდება. კალათბურთის უმაღლეს დონეზე თამაში და დიალიზი ერთმანეთთან ვერ თავსდება. ექიმ რეინეკის თქმით, ეს გამორიცხულია, თუმცა არც ის ყოფილა, რომ რომელიმე ორგანოს გადანერგვის შემდეგ რომელიმე სახეობის ათლეტი პროფესიულ სპორტში დაბრუნებულიყოს. რეინეკი იმედიანადაა და ამბობს, თუკი გადანერგვა წარმატებით ჩაივლის, ორ-სამ თვეში ელიოტის კარიერის გაგრძელებაზეც იქნება ფიქრი შესაძლებელიო.

ელიოტი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1989 წელს მოვიდა არიზონის უნივერსიტეტიდან. იგი „სან ანტონიო სფურზმა" აიყვანა და 1993 წელს „დეტროიტ პისტონზს" გაუცვალა დენის როდმანხა და აიზია მორისში. 1994 წელს „პისტონზმა" თითქმის მიყიდა იგი „ჰიუსტონ როკიტსს", მაგრამ გარიგება არ შედგა. ელიოტმა სწორედ მაშინ შეიტყო თავის ავადმყოფობის შესახებ. „როკიტსის" ექიმებმა კალათბურთელს თირკმლის ფუნქციის მოშლა დაუდგინეს და მის შეძენაზე უარი განაცხადეს. ელიოტი „დეტროიტში" დარჩა, ხოლო მომდევნო სეზონში „სან ანტონიოში" დაბრუნდა, სადაც კარიერის მწვერვალს — ლიგის ჩემპიონობას მიაღწია.

გაირკვა, რომ ელიოტმა ერთი წლის წინ შეიტყო თირკმლის გადანერგვის სასურველობა. მერე და მერე, მისი ჯანმრთელობა გაუარესდა და რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე (აპრილში) ექიმმა რეინეკმა მას გადანერგვის აუცილებლობა აუწყა. შონმა არ შეიმჩნია და ჩემპიონატიც ჩაამთავრა და პლეი ოფიც. „გუნდისთვის საჭირო ვიყავი. რომელ ავადმყოფობაზე შეიძლებოდა ფიქრი" — თქვა ელიოტმა.

არც ელიოტის თანაგუნდელებმა გაიკვირვეს მისი ავადმყოფობა: „ჩემპიონატის ბოლო დღეებში გავიგე შონის თირკმლების შესახებ. ამას, არ ვიცი, რა ჰქვია, როგორ შეიძლება ასეთმა ავადმყოფმა ასე ითამაშოს, დაუჯერებელია" — თქვა ტიმ დანკანმა. მეორე სფურზელის, ვილ პერდიუს აზრი ამგვარია: „შონს სასოწარკვეთა არ სურდა. ეს უეჭველია, თორემ მის მდგომარეობაშ მყოფი კაცი არ უნდა თამაშობდეს. გავიგე, ელიოტი თამაშს მაინც აპირებს, იმის მიუხედავად, რას ეტყვიან ექიმები. ეს სწორი გადაწყვეტილებაა".

ამრიგად, შონ ელიოტს თირკმლების გადანერგვა მოუწევს. თავად იგი ასე აფასებს საკუთარ მდგომარეობას: „თუ მკითხავთ, დამფრთხალი ხარ თუ არაო, გიპასუხებთ, რომ ცოტა ვღელავ. მეორე მხრივ, ყველაფერი კარგად მესმის. ყოველდღიურად მრავალი ადამიანი ინერგავს თირკმელს და მერე ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობს. რაღა მე ვიქნები გამონაკლისი? მე აუცილებლად ვითამაშებ".



აშშ — ვენესუელა. ტენის ამერიკელი ჯეისონ კიდი

Sydney 2000

ამერიკის ზონის შესარჩევი ტურნირი

მეორე ეტაპი

# ორტისმა ამერიკა დაჩრდილა

21 ივლისი

**არგენტინა — დომინიკელთა რესპუბლიკა 85:71, ბრაზილია — ურუგვაი 100:74, პუერტო რიკო — კანადა 80:75, აშშ — ვენესუელა 83:61**

**აშშ: ჰიუსტონი (11), კიდი (6), პეიტონი (18), გარნეტი (10), დანკანი (11), სმიტი (4), ჰარდევეი (14), გულიოტა (2), ბეიკერი (5), შჩერბიაკი (2), ბრენდი (2)**

თუ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები სადმე თამაშობს, ძირითადი ყურადღება მასზეა გადატანილი. ამას კი წყალი არ გაუვა, მაგრამ ამ დღეს სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე უფრო მნიშვნელოვანი მატჩი იყო, პუერტო რიკო — კანადა.

ამ, თითქოსდა ჩვეულებრივ მატჩს, დიდი ინტრიგა ახლდა. კერძოდ, მისი დამთავრებისთანავე ის გუნდი შეიძლება გამოვლენილიყო, რომელიც სიდნეიში ნაღდად ვეღარ წავიდოდა.

ეს როგორაო, იკითხავთ. როგორ და, ოლიმპიადის საგზურს მხოლოდ ორი, ფინალში გასული გუნდი იღებს. ერთ-ერთი ნახევარფინალისტი უკვე ცნობილია, ეს ამერიკის ნაკრებია. შეთანხმდეთ (ან კი ჩვენი შეთანხმება რა საჭიროა), რომ ეს გუნდი ყველა მატჩს მოიგებს, მათ შორის ნახევარფინალსაც. ამდენად, მისი სანახევარფინალო მეტოქე სიდნეის მიღმა რჩება. პუერტო რიკო და კანადა სწორედ იმას ჩალიჩობდნენ, რომ ნახევარფინალში აშშ-ს აცდენილიყვნენ.

პუერტო რიკოს მიზნის მისაღწევად 4 ქულით ან მეტით სჭირდებოდა გამარჯვება. კანადის ამოცანა უფრო მოკრძალებული, თუმცა არცთუ იოლი იყო: 9 ქულაზე მეტი არ უნდა წაეგო. თუკი პუერტო რიკო მოიგებდა 5-9 ქულით, მაშინ აშშ-ს, სავარაუდოდ არგენტინა შეხვდებოდა, ხოლო მეორე ნახევარფინალში ისევ პუერტო რიკო და კანადა ითამაშებდნენ.

რასაკვირველია, რომ მატჩი ქულა-ქულაზე მიდიოდა. სულ ბოლოს კი გაიბრწყინა ტურნირის მასპინძელთა ვარსკვლავმა, ყოფილმა პროფესიონალმა ხოსე ორტისმა, რომელმაც 80 წამში 7 ქულა გააკეთა...

რიგრიგობით თუ მივყვებით, დამთავრებამდე 1,38 წუთით ადრე ორტისმა სამქულიანი ჩააგდო და პუერტო რიკო 76:75 დაწინაურა. გამოხდა ხანი, სირენამდე უკვე 53 წამი რჩებოდა, ორტისმა ნახტომში კაუჭი ისროლა და თავისიანები უკვე სამი ქულით დაწინაურა. ეს საკმარისი მაინც არ იყო, ამიტომ ორტისმა ბურთი არავის დაანება, სამ კანადელ მოთამაშეს შორის გაძვრა და ზუსტად დაგვირგვინებული გარღვევით სანუკვარი 5-ქულიანი უპირატესობა მოუტანა პუერტო რიკოს, თუმცა...

მატჩი დამთავრებული არ იყო, რჩებოდა 18 წამი. კანადამ წუთშესვენება აიღო. ერთ შედეგიან შეტევას შეეძლო წყალში ჩაეყარა ორტისის შოუ, პუერტორიკოელთა მოგება და იმედები... ბურთი კანადის ნაკრებისა და „დალას მავერიქსის" წევრმა სტივ ნეშმა შემოიტანა. პატარა დრიბლინგის შემდეგ ნეშმა შორეული, მთელი მოედნის გადამსერავი პასი მიაწოდა თანაგუნდელს, მაგრამ ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია... კანადელმა შერმან ჰამილტონმა კი დაიბრუნა ბურთი, მაგრამ სირენისთანავე ნასროლი მისი სამქულიანი კალათს აცდა. დარბაზი საშინელმა ღრიანცელმა გაყრუა: პუერტო რიკოს სიდნეიში წასასვლელი შანსი შერჩა.

ამერიკის ნაკრები კი, ეტყობა, უინტერესობისგან დაიღალა. ვენესუელას წინააღმდეგ უგერგილოდ ირჯებოდა და ალბათ ამიტომაც დააგროვა მხოლოდ 83 ქულა. მას შემდეგ, რაც ამერიკის ნაკრებში პროფესიონალებმა დაიწყეს გამოსვლა (1992 წლის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირიდან), გუნდს ასე ცოტა ქულა არ გაუკეთებია.

დამთავრებამდე 5,31 წუთით ადრე ტიმ ჰარდევეიმ ჩაადო და ანგარიში 78:52 გახდა. ამის შემდეგ ამერიკელებმა სულ ორჯერ ივარგეს: დამთავრებამდე 2,29 წუთით ადრე ჰარდევეიმ, ხოლო სირენამდე 37 წამით ადრე — ველი შჩერბიაკმა.

ჰარდევეიმ ჩხუბიც მოახერხა — პირველ ტაიმში წაარტყა ვენესუელელ იუმერვინგ მიხარესს. მაყურებელი აღშფოთდა, ხოლო ჰარდევეიმ თავის საქციელი ასე ახსნა: „ვიღაცამ უნდა ასწავლოს ჭკუა ამ ლაწირაკებს. ეს ბიჭი ჩვენს მოთამაშეებს განზრახ ებლანდებოდა ფეხებში, ქვემოდან იდაყვებს ურტყამდა, უხეშობდა... მან ჯეისონს (კიდს) ამოარტყა ქვემოდან, მერე იგივე გერის (პეიტონს) გაუკეთა, თითქოს რაღაცის დამტკიცება უნდოდა. მე მას დავანახე, რომ არც უხეშობაა საჭირო და არც ძველბიჭობა... შეიძლება, უარესიც მომხდარიყო".

ისე, ვენესუელელები ძალიან უხეშობდნენ. კევინ გარნეტი იძულებული შეიქმნა მატჩი მიეტოვებინა: დამთავრებამდე 14,19 წუთით ადრე მასზე განზრახ დაჯარიმდნენ და ამერიკელმა თვალზეხელაფარებულმა დატოვა მოედანი.


## იყიდება

3-ოთახიანი ბინა, დამატებით მე-4 ოთახი,
საერთო ფართი 104 კვ.მ.
ბარნოვის 71, მე-2 სადარბაზო, 2/9 სართული. შესასვლელი ავრეთვე კეკელიძის ქუჩიდან (გამოდგება საოფისედ).
ტელ.: 22-75-07, 69-52-58


# ახალი სეზონის ნიშანსვეტები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაცხადა 1999-2000 წლების სეზონის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი:

| | |
|---|---|
| 1.08.1999 | დაიწყება მოთამაშეებთან კონტრაქტების გაფორმება |
| 22-26.09.1999 | ვანკუვერში მოეწყობა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კონგრესი |
| 5.10.1999 | გუნდები დაიწყებენ საწვრთნელ შეკრებებს |
| 11.10.1999 | „მაიამი ჰითი" ისრაელში გამართავს საჩვენებელ მატჩს თელ ავივის „მაკაბისთან" |
| 14-16.10.1999 | „სან ანტონიო სფურზი" მილანში მონაწილეობას მიიღებს „მაკდონალდსის საკლუბო ჩემპიონატში" |
| 29.10.1999 | წინასასეზონო მატჩების ბოლო დღე |
| 02.11.1999 | დაიწყება 1999-2000 წლების რეგულარული ჩემპიონატი |
| 6-7.11.1999 | „საკრამენტო კინგზი" და „მინესოტა ტიმბერვულვზი" ჩემპიონატის ორ მატჩს გამართავენ იაპონიაში, ტოკიოში. |
| 11-13.02.2000 | ოლ სტარი |
| 19.04.2000 | რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღე |

## მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

მეორე ეტაპი

21 ივლისი

I ჯგუფი: ავსტრალია — საბერძნეთი 72:70 (39:43), ესპანეთი — ხორვატია 70:55 (41:36)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 218:208 | 5 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 186:185 | 5 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 2 | 203:208 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 207:113 | 4 |

II ჯგუფი: აშშ — რუსეთი 84:70 (43:40), არგენტინა — ბრაზილია 84:60 (37:33)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 256:212 | 6 |
| არგენტინა | 3 | 2 | 1 | 215:206 | 5 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 222:262 | 4 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 222:235 | 4 |

ნახევარფინალი

24 ივლისი

ესპანეთი — არგენტინა

აშშ — ხორვატია

## ევროპული ტრანსფერები

*ლიტვა*

### ლიტვას დაუბრუნდა ლიტველი

ევროლიგის გამარჯვებულმა კაუნასის „ჟალგირისმა" თავის რიგებში ლიტველი ცენტრი, აქამდე იტალიურ „გორიციაში" მოთამაშე მინდაუგას ტიმინსკასი გადაიყვანა. 25 წლის ლიტველს სხვა კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება არჩია.

ტიმინსკასი „ჟალგირისის" მესამე შენაძენია. შეგახსენებთ, რომ მანამდე ლიტვურმა კლუბმა ხორვატი ცენტრი ივან გრგატი და ყოფილი პროფესიონალი, ამერიკელი კორი ბეკი დაისაკუთრა. „ჟალგირისი" ამჟამად კიდევ ერთ ამერიკელთან, მაიკლ ვილიამსთან აწარმოებს მოლაპარაკებას. კლუბის გენერალური მენეჯერის გინტას რუტკაუსკასის თქმით, შესაძლოა გაფორმდეს კონტრაქტი რამდენიმე ახალგაზრდა ლიტველთანაც.

„ჟალგირისმა" ბოლო სეზონის შემდეგ უკვე დაკარგა ამერიკელები ტაიუს ედნი და ენტონი ბოუი, აგრეთვე ჩეხი გეორგ (ირჟი) ზიდეკი. მათ რიცხვს შეიძლება ლიტველი ცენტრი ეურელიუს ჟუკაუსკასიც მიემატოს: 218-სანტიმეტრიანი კალათბურთელი ამერიკაში გაფრინდა „მინესოტა ტიმბერვულვზის" საზაფხულო შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად. თავად ჟუკაუსკასს თუ ვენდობით, მინესოტელები დღესვე სთავაზობენ მას კონტრაქტს.

*საბერძნეთი*

### პირველი ალექსანდერია

მას შემდეგ რაც ხორვატი პეტარ სკანსი ჩაუდგა სათავეში, სალონიკის პაოკ-მა პირველი შენაძენი გააკეთა. კლუბმა კონტრაქტი გააფორმა თელ ავივის „მაკაბის" ყოფილ ცენტრთან ვიქტორ ალექსანდერთან. მისი დანარჩენება თავად „მაკაბისაც" სურდა, მაგრამ კალათბურთელმა უსაშველოდ დიდი გასამრჯელო მოითხოვა, ალექსანდერით იტალიური „ტიმსისტემიც" დაინტერესდა, მაგრამ მას საბოლოოდ ხორვატი სტოიან ვრანკოვიჩი ამჯობინა.

ალექსანდერი არ იქნება ახალი კაცი საბერძნეთის ჩემპიონატში. 1997-98 წლებში იგი ათენის აეკ-ში გამოდიოდა. იმ სეზონში აეკ-ი ევროლიგის ფინალში გავიდა, სადაც იტალიურ „კინდერთან" დამარცხდა. ალექსანდერი კი ამ ტურნირზე თავის კლუბის საუკეთესო ბომბარდირი იყო მატჩში საშუალოდ 14,8 ქულით და 7,6 მოხსნით. 1998-99 წლების ევროლიგაში ალექსანდერი „მაკაბის" შემადგენლობაში ასპარეზობდა. მან 18 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 17,4 ქულას და 8,9 მოხსნას მოუყარა თავი.

# გუგა შვებულებაში

**შტუტგარტი. გერმანია.**
**„მერსედესის თასი". თიხნარი.**
**საპრიზო 1,05 მილიონი $**

შტუტგარტში მიმდინარე პირველობას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საავტომობილო ფირმის სახელობის თასი კი ჰქვია, მაგრამ მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირებს სულაც არ განეკუთვნება.

სარეიტინგო ქულებითაც და საპრიზო ფონდითაც „მერსედესის თასი" ზემოხსენებული თანამომძმეთ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება, თუმცა რაკილა სეზონში თიხნარის უკანასკნელი დიდი პირველობაა, წითელ მიწაზე თამაშის მოყვარულ ვარსკვლავთა ნაკლებობას მაინც არ განიცდის — წლეულს აქ თითქმის ყველა ესპანელმა და სამხრეთამერიკელმა მოთამაშემ მოიყარა თავი.

თუმცა ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, შტუტგარტში პირველად განთქმული ჩოგბურთელი და ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი წლეულს აქ მეტად ხანმოკლედ დაყოვნდა.

„გუგას" ბოლო თვის მანძილზე სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონია: ჯერ უიმბლდონის მეოთხედფინალში მოულოდნელად გასვლის გამო ორი კვირით ლონდონს შერჩა, მერე გშტაადის ტურნირზე იასპარეზა, გასულ უქმეებზე დევისის თასზე ერთეულებშიც ითამაშა და წყვილებშიც, თანაც სებასტიან გროსჟანთან მარათონული მატჩი თითქმის ხუთ საათს გაუგრძელდა.

ყველაფერ ამას არ შეიძლებოდა, უკვალოდ ჩაევლო და ყვითელთავა ბრაზილიელსაც განკითხვის დღე ოთხშაბათს დაუდგა.

გუსტავომ ერთ დროს იმედისმომცემ შვედ მაგნუს ნორმანთან მატჩი კი დაიწყო, მაგრამ სირბილის ნაცვლად ძლივს დალასლასებდა, მკლავში ძალა აღარ ერჩოდა და ნახევარ საათზე ოდნავ მეტში, როდესაც ანგარიში 2:5 იყო, თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

ამის გამო სხვა ქვეყანაში კუერტენს უეჭველად უსტვენდნენ, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე მიმტევებელმა გერმანელმა ქომაგებმა „გუგა" პირიქით, თბილი აპლოდისმენტებით გააცილეს.

— იგი აბსოლუტურად გამოფიტულია — დაასკვნა ტურნირის ექიმმა.

„ამ წუთისთვის არანაირი ენერგია, ძალა თუ სტიმული არ გამაჩნია. ზედიზედ ამდენი ხნის მანძილზე თამაშმა უსაშველოდ დამღალა. უეჭველად ხანგრძლივი დასვენება მჭირდება, რომ გონს მოვიდე" — განაცხადა თავად ბრაზილიელმა.

შტუტგარტში მარტო „გუგა" არ დაზარალებულა — თავისი მატჩის დასრულება ნორვეგიელ კრისტიან რუუდთან ვერც უკრაინელმა ანდრეი მედვედევმა, ტურნირს კიდევ ერომა ყოფილმა გამარჯვებულმა შეძლო.

„აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ. მახსოვს, პირველად შტუტგარტში 1992-ში, ყველასთვის უცნობი ღლაპი ჩამოვედი. პირველი სეტი 0:6 წავაგე, მერე კი მთელი ტურნირი მოვიგე" — განაცხადა კვირის დასაწყისში უკრაინელმა.

მაგრამ წლევანდელი როლან გაროსის ფინალში გასვლის შემდეგ მედვედევს სასიხარულო ბევრი არაფერი აქვს: ATP ტურზე სულ ორი მატჩი მოიგო და რამდენიმე თვით მივიწყებულმა ქრონიკულმა ტრავმებმაც ისევ შეახსენა თავი.

რუუდთან უკრაინელი 5:7-სა და 0:1-ს აგებდა, როდესაც მუხლი წამოსტკივდა და ექიმის რჩევით მატჩის შეწყვეტა მოუხდა.

ძალიან გაუჭირდათ მესამე წრეში გასვლა (პირველიდან ყველა განთესილი გათავისუფლებული იყო) ტურნირის მთავარ ფავორიტებს — მარსელო რიოსს (2) და კარლოს მოიას (3).

კიკინინამა ჩილელმა ერნან გუმისთან შეხვედრაში პირველი ხელი ტაი-ბრეიკზე დათმო, მეორეში 4:1 უპირატესობის ხელიდან გაშვება ჩოგნის და ბურთის ფიზიკური შეურაცხყოფით აღნიშნა, ერთ მომენტში ორი ქულაღა აშორებდა მარცხს, მაგრამ საბოლოოდ მეტად უცნაური ანგარიშით მაინც იმარჯვა 6:7 (2:7), 7:6 (8:6), 6:0.

კარლოს მოიამ ბოგდან ულირახს მთელი ორი საათის მანძილზე ვერაფერი მოუხერხა, სანამ როლან გაროსის ექსჩემპიონის ავტორიტეტით დაშინებულმა ჩეხმა თავად არ უმრავლა შეცდომებს და მეტოქეს მოგებული მატჩი არ ანუქა 6:3, 4:6, 7:6 (7:3).

**მეორე წრე: ჯაროლ კუჩერა (4, სლოვაკეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:2, 6:2; ალეძს კორეტხა (5, ესპანეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2, 6:2; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ფელიჭს მანტია (6, ესპანეთი) 7:5, 6:1; დუმინიკ ხრბატი (8, სლოვაკეთი) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 1:6, 6:3, 6:2; კრისტიან რუუდი — ტომას იოჰანსონი (9, შვედეთი) 6:2, 6:1; ნიკოლას ლაპენტი (10, ეკვადორი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 0:4; ალბერტ კოსტა (11, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:3).**

**ამსტერდამი. ჰოლანდია. ფედერაციის თასის საკვალიფიკაციო ტურნირი.**

ჰოლანდიის დედაქალაქში ოთხშაბათიდან მოყოლებული 8 ქვეყანა იბრძვის საგაისოდ ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — ფედერაციის თასის უმაღლეს ლიგაში საასპარეზოდ.

ამსტერდამში მყოფ გუნდებში საკმაოდ ბევრი ძლიერი ჩოგბურთელია თავმოყრილი, თუმცა პირველი ჯგუფის ბოლო, მე-13 საგზური მხოლოდ ერთ ქვეყანას ერგება, ვინც ჯერ თავის ჯგუფში გაიმარჯვებს, მერე კი მეორე ჯგუფის პირველადგილოსანსაც დაჯაბნის.

რაკი მატჩების რაოდენობა საკმაოდ ბევრია, მხოლოდ მათ ანგარიშს და გუნდების პირველ ჩოგანთა შეხვედრის შედეგს შემოგთავაზებთ.

**I ჯგუფი**

**ბელარუსი 3:0 სლოვენია**
**ნატაშა ზვერევა — კატარინა სრებოტნიკი 7:5, 6:0.**

**ჰოლანდია 2:1 იაპონია**
**კრისტი ბუგერტი — აი სუგიამა 2:6, 6:3, 6:2**

**II ჯგუფი**

**ავსტრალია 3:0 არგენტინა**
**ელენა დოკიჩი — პაოლა სუარესი 6:4, 7:5**
**რუმინეთი — ტაივანი**
**რუძანდრა დრაგომირი — ვანგ შიტინგი 6:7 (5:7), 6:2, 6:2**



გუსტავო კუერტენი





გაბრიელა საბო

უილსონ კიპკეტერი

მარიონ ჯონსი

REUTERS

# რუსი დიაცი მუტოლამ დაღუპა

IAAF GOLDEN LEAGUE



**შვიდშეჯიბრა**

„ოქროს ლიგის" მესამე, პარიზულმა ეტაპმა მილიონ დოლარისთვის მებრძოლი ექვსეულისგან ორი მძლეოსანი შეიწირა — 800 მეტრზე მორბენალი რუსი სვეტლანა მასტერკოვა და ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი ერიკ უალდერი. მილიონით გატენილი ტომსიკისკენ სვლას კი მარიონ ჯონსი, უილსონ კიპკეტერი, ბერნარდ ბარმასაი და გაბრიელა საბო განაგრძობენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სწორედ ეს ოთხეული გაიყოფს ერთმანეთში საპრიზო ფონდს. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ამერიკელი მარიონ ჯონსი 100 და 200 მეტრ დისტანციებზე ისე დაჭარის, მისი ჯოხები ქალი არ დარბის დუნიაზე და პარიზში რა ღმერთი გაუწყრებოდა. მარიონმა ოსლოში და რომში ჩვეულად რომ იქროლა, საფრანგეთის დედაქალაქშიც არ დაუტოვა შანსი არავის, თვისტომი ინგერ მილერი და იამაიკელი ბევერლი მაკდონალდი გვარიანი მანძილით მოიტოვა უკან და 21.90 წამით „ოქროს ლიგის" მესამე ეტაპი მოიგო.

მძლეოსნობის პარიზელ მოყვარულთა მზერა გამორჩეულად 800 მეტრიან ბილიკზე იყო მიპყრობილი. საქმე ისაა, რომ ამ დისტანციაზე უილსონ კიპკეტერსა და სვეტლანა მასტერკოვას უნდა ეასპარეზათ. ერთიც და მეორეც მილიონის მომგებთა უპირველესი ფავორიტები იყვნენ. გადანიელებულმა კიპკეტერმა თუ 1.44,89 წუთით კაკებში ყველას აჯობა, აი, რუს დიაცს კი მოზამბიკელმა მარია მუტოლამ თავისი შავი კანჭები დაანახა, ეგ კი არა, მასტერკოვას წინ ავსტრიელმა შტეფანი გრაფმა და თვისტომებმა ნატალია ციგანოვამ და ირინა მისტუკევიჩმა ჩაუქროლეს. ასე რომ, სვეტლანამ მილიონ მწვანეს ხელი დაუქნია.

კენიელი ბერნარდ ბარმასაის და რუმინელი გაბრიელა საბოს დამწევ-გამსწრებიც არავინ ჩანს. წლეულს ორივე ჩინებულად ასპარეზობს, ერთი ტურნირი რაა, ისიც კი არ წაუგიათ და ჰოდა, ამიტომაც მიიჩნევენ მათ „ოქროს" ქალ-ვაჟად.

ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი ერიკ უალდერი ოსლოშიც და რომშიც ყველაზე შორს გადახტა, პარიზში კი, ზუსტად ვერ გეტყვით, ხელი რამ შეუშალა, თუმცა ფაქტია, საუკეთესო რვა მხტომელთა შორისაც ვერ მოხვდა. აქ 8,42 მეტრით იამაიკელმა ჯეიმს ბეკფორდმა იმარჯვა.

სხვათაგან უნდა გამოვარჩიოთ, მსოფლიოს რეკორდსმენი, შუბისმტყორცნელი, ჩეხი იან ჟელეზნი, პარიზში ჟელეზნიმ 89.06 მეტრზე ტყორცნა შუბი, რაც საუკეთესო შედეგი იყო. 1500 მეტრზე რენაში კი კენიელმა ნოა ნგენიმ (3.28,84 წთ) იმარჯვა, ნოამ რომში მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯის ვერ მოუგო, აი, პარიზში კი, სახელოვან ალჟირელ ნურედინ მორსელის კარგი გაკვეთილი ჩაუტარა.

**სოსო კოტორეიშვილი**

**ტექნიკური შედეგები**

**ქალები**

200 მ
1 მარიონ ჯონსი (აშშ) 21.90 წმ
2 ინგერ მილერი (აშშ) 22.30
3 ბევერლი მაკდონალდი (იამაიკა) 22.39

100 მ. წინაღობებით
1 ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) 12.50 წმ
2 გლორი ალოზიე (ნიგერია) 12.52
3 მელისა მორისონი (აშშ) 12.67

400 მ. წინაღობებით
1 ნეზა ბიდუანე (მაროკო) 53.75 წმ
2 იონელა ტირლეა (რუმინეთი) 54.04
3 სანდრა გლოვერი (აშშ) 54.14

800 მ
1 მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1.58,25 წთ
2 შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1.58,73
3 ნატალია ციგანოვა (რუსეთი) 1.58,80

3000 მ
1 გაბრიელა საბო (რუმინეთი) 8.25,59 წთ
2 სარა გუაზიზი (მაროკო) 8.26,64
3 ტეგლა ლაროუპე (კენია) 8.40,95

სიგრძეზე ხტომა
1 ენი ბარბერი (საფრანგეთი) 7.01 მ
2 დაიან ბარელი (აშშ) 6.88
3 ჰაიკე დრეიქსლერი (გერმანია) 6.87

სიმაღლეზე ხტომა
1 ესტრი სტორბეკ-კლოტი (ს. აფრიკა) 2 მ
2 ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) 1.98
3 ელენა ელეზინა (რუსეთი) 1.96

**კაცები**

110 მ. წინაღობებით
1 ლარი უეიდი (აშშ) 13.26 წმ
2 რობინ კორვინგი (ჰოლანდია) 13.33
3 ფლორიან შვარტჰოფი (გერმანია) 13.33

200 მ
1 მორის გრინი (აშშ) 20.13 წმ
2 ფრანცის ობიკველუ (ნიგერია) 20.20
3 კევინ ლიტლი (აშშ) 20.35

800 მ
1 უილსონ კიპკეტერი (დანია) 1.44,89 წთ
2 ეზეკიე სეპენგი (ს. აფრიკა) 1.45,22
3 უილიამ ჩირჩირი (კენია) 1.45,54

1500 მ
1 ნოა ნგენი (კენია) 3.28,84 წთ
2 ნურედინ მორსელი (ალჟირი) 3.30,91
3 დრის მააზოუზი (საფრანგეთი) 3.31,51

3000 მ
1 დანიელ კომენი (კენია) 7.33,23 წთ
2 სალაჰ ჰიზოე (მაროკო) 7.33,47
3 ჰოლ ბიტოკი (კენია) 7.34,70

3000 მ. წინაღობებით
1 ბერნარდ ბარმასაი (კენია) 8.05,71 წთ
2 ალი ეზინე (მაროკო) 8.07,31
3 ელარბი ჰატაბი (მაროკო) 8.09,48

სიგრძეზე ხტომა
1 ჯეიმს ბეკფორდი (იამაიკა) 8.42 მ
2 გრეგორ განკარი (სლოვაკეთი) 8.07
3 როლანდ მაკკეინი (აშშ) 8.06

შუბის ტყორცნა
1 იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 89.06 მ
2 აკი პარვიაინენი (ფინეთი) 87.91
3 სერგეი მაკაროვი (რუსეთი) 86.92

ჭოკით ხტომა
1 მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი) 5.90 მ
2 ტიმ ლობინგერი (გერმანია) 5.80
3 ვიკტორ ჩისტიაკოვი (რუსეთი) 5.80

# ოქროს ლიგის ფული და ზნეობა

## მდიდრები და ღარიბები ერთად აჯანყდნენ

**მძლეოსანთა** „ოქროს ლიგა" შარშან დაარსდა და უკვე კრიტიკოსებიც გამოუჩნდა, თანაც ვინმე უბრალო ხალხი კი არა, სწორედაც რომ მსოფლიოს უქებულესი სპრინტერები: ამერიკელი მარიონ ჯონსი და ტრინიდადელი ატო ბოლდონი, რომლებიც ლიგაში „ჯუნგლების კანონის" გაბატონებას შეუშფოთებია. ლაპარაკია იმაზე, რომ „ოქროს ლიგის" 1 მილიონი დოლარის ტოლა ჯეკ-პოტი ერგება მხოლოდ მას, ვინც ლიგის უკლებლივ შვიდივე ტურნირს მოიგებს. ეს წესი უსამართლობად აღიქვეს არამარტო რიგითმა სპორტსმენებმა, არამედ, გითხარით უკვე, თავად მარიონ ჯონსმა, ვისთვისაც წესით შვიდივე შეჯიბრების მოგებაც თითქოს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. „უსამართლობაა, როცა მეორე, მესამე პრიზიორები შინ ხელცარიელები ბრუნდებიან" — განაცხადა ჯონსმა, ხოლო ბოლდონმა შვიდივე ტურნირის მოგებას განუხორციელებელი ამოცანა უწოდა, მითუმეტეს სპრინტერებისთვის.

განსხვავებული აზრიც არსებობს და იგი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა ჯორჯო რაინერიმ გამოთქვა: „ჯეკ-პოტის გარდა თითოეულ ტურნირში გამარჯვებისთვის სპრინტერი 15 ათას დოლარს იგებს, ეს კი არაფერზე აშკარად მეტია. რვა საუკეთესოს შორის მოხვედრილი მძლეოსნებიც ფულს იღებენ, ასე რომ, „ოქროს ლიგაში" ჯილდოს გარეშე პრაქტიკულად არავინ რჩება" — მკაცრად შენიშნა ბატონმა ჯორჯომ.

**დავით გულუა**



ატო ბოლდონს თავი ჯუნგლებში ჰგონია

ევერესტელები

# აფი გიგანი: ოცნება მქონდა და ამისრულდა

**აფი გიგანი**
**დაიბადა 1956 წლის 27 იანვარს მესტიის რაიონის სოფელ მულახში. მულახის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაასრულა თბილისის საავიაციო-სადისპეტჩერო კურსები. მუშაობს ქუთაისის აეროპორტში ფრენების ხელმძღვანელად. ჰყავს მეუღლე და ცხრა თვის ვაჟიშვილი. თავის პირველ მწვერვალ ბანგურიანზე ავიდა 1970 წელს, როცა თოთხმეტისა იყო, ალპინიზმში სერიოზული ვარჯიში კი ცხრა წლის მერე დაიწყო. მას შემდეგ დალაშქრა კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის და ჰიმალაის მწვერვალები, მათ შორის დედამიწის თოთხმეტი რვაათასიანი პიკიდან ორი — დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8848მ.) და დჰაულაგირი.**
**დალაშქრული აქვს ყოფილი სსრ კავშირის ყველა შვიდიათასიანი მწვერვალი: კომუნიზმის, კორჟენევსკაიას, ლენინის, პობედასა (ორ-ორჯერ) და ხან თენგრის (სამჯერ) პიკები, რისთვისაც „თოვლის ჯიქის“ ტიტული დაიმსახურა.**
**ამ ლაშქრობებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ევერესტზე და ჩატინზე ჩრდილოეთის კედლით ასვლას, აგრეთვე მაზერ — უშბა — ჩატინის ტრავერსს.**

1999 წლის 12 მაისი. ევერესტი. აფი გიგანი თავის ოცნების მწვერვალზე

აფი გიგანი ქუთაისის აეროპორტში ფრენის ხელმძღვანელია. თავადაც ხშირად ადის თვითმფრინავის ფრენის სიმაღლეზე, ოღონდ დედამიწიდან მოუწყვეტლად. ყველაზე მაღლა აფი წლეულს გაზაფხულზე ავიდა, როცა დედამიწის კენწეროდან გადმოიხედა.

— ოცნება მქონდა და ამისრულდა. დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ყველა მთამსვლელი ოცნებობს, რადგან ევერესტი მაინც ევერესტია, — გვითხრა აფი გიგანმა.

და გამახსენდა 1985 წლის მაისის დასაწყისი. მაშინ კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე (5642მ) მოეწყო დიდი საერთაშორისო ალპინიადა. ასვლის მონაწილეთა შორის იყვნენ ავსტრიის, ბულგარეთის, ორივე გერმანიის, ესპანეთის, იტალიის, პოლონეთის, შვეიცარიისა და სხვათა მთამსვლელები, რომლებსაც ჰიმალაის მწვერვალებიდანაც გადმოეხედათ; იყვნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველი საბჭოთა ექსპედიციის მონაწილენიც, რომლებსაც იმ დროისთვის სამოდე წლის წინათ დალაშქრათ ევერესტი; იყვნენ ქართველი ალპინისტებიც... სწორედ იმ ასვლისას გავიცანი აფი გიგანი.

— აი, ბედნიერი ხალხი, — გვითხრა მაშინ აფი გიგანმა ევერესტზე ნამყოფ რუს თამსვლელებზე და სინანულით დასძინა, აბა, ჩვენ იქ ვინ გაგვიშვებს. აი, ხუტა ხერგიანი კი წაიყვანეს, მაგრამ ბოლოს 8000 მეტრამდე ასულს გადაშწყვეტი იერიშის ნება აღარ მისცესო.

ვინ იცის, იქნებ არც მერე გაეშვათ ქართველები, იმ „ერთიან, ძმურ ოჯახში“ რომ დავრჩენილიყავით. ყოველ შემთხვევაში, მაშინ აფი გიგანი 29 წლისა იყო და ჰიმალაის ცათამბჯენებისკენ პერსპექტივა არ ჩანდა.

აფიმ წლეულს აისრულა გულისწადილი, როცა „კავკასია 99“-ის წევრებთან ერთად დედამიწის უმაღლესი წერტილიდან გადმოიხედა.

— იქ ასვლის იმედი არც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მერე მომცემია, — გვიამბობს აფი გიგანი. — ვფიქრობდი, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში საამისო სახსრები სად გამოიძებნება-მეთქი. ამიტომ, შარშანწინ, როცა ბენო ქაშაკაშვილთან ერთად პირველად გავემგზავრე ევერესტზე ასასვლელად, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინ ჩრდილოეთის კლასიკური მარშრუტით ვცადეთ ასვლა. სამწუხაროდ, 8200 მეტრს ვეღარ ავცდით. უამინდობამ შეგვიშალა ხელი და, ეტყობა, არც ჩვენ ვიყავით სათანადოდ მომზადებულნი. მაშინ ძალიან დამწყდა გული. ვიფიქრე, ჩემი ოცნების მწვერვალზე ასვლის შანსი ალბათ აღარც მომეცემა-მეთქი. ჰოდა, როცა წლეულს ნეპალისკენ გავემგზავრეთ, ვფიქრობდი, ევერესტზე თუ ავედით, ალბათ სიხარულისგან გავგიჟდები-მეთქი. მაგრამ იქ ასულმა სიხარული საერთოდ ვერ ვიგრძენი. ეს გრძნობა მერეღა დამეუფლა, როცა უემოციო მეცხრე ციდან მიწაზე დავეშვი და მომილოცეს. ნამდვილი სიხარული მერეღა მოვიდა, თბილისის აეროპორტში დამხვდურთა გაბრწყინებული თვალების დანახვისას.

იქ, დედამიწის სახურავზე სიხარულს ვინ ჩივის, ჩვენი წერილის გმირს გულს სევდა შემოსწოლია. გახსენებია ოჯახი, თვალწინ დადგომია ვაჟიშვილი, 8 თვის მიშიკო და დარდი და მონატრება დაუფლებია.



ეს ტიბეტელი ბავშვები, აფი გიგანთან სამახსოვრო სურათი რომ გადაუღიათ, ვინ იცის, იქნებ ქართველივით ევერესტზე ოცნებობენ

შვილი რომ გაიზრდება, თუ მთაში სიარულს მოინდომებს, არ დავუშლიო, გვეუბნება აფი, რომელსაც თურმე ბავშვობიდანვე მწვერვალებისკენ გაურბოდა თვალი და გულიც იქით მიუწევდა. მესტიის რაიონის სოფელ მულახში დაბადებული და გაზრდილი ბიჭისთვის კი მუდამჟამ თოვლიანი მთები ჰეიზაჟის ისეთივე შემადგენელი და უმთავრესი ნაწილი იყო, როგორც ქალაქელთათვის საცხოვრებელი კორპუსები და ხმაურიანი ქუჩები. პატარა აფის თურმე თვალი ყველაზე მეტად რჩებოდა მწვერვალ ბანგურიანზე, მთელს მესტიას მექონგურესავით რომ გადმოჰყურებს. გასცეროდა ბიჭი ბანგურიანს და მის თოვლიან თხემზე თავისი კვალის დატოვებაზე ფიქრობდა.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს თორმეტცამეტი წლის დეიდაშვილებთან, თავად თოთხმეტისა, ბანგურიანზე გაპარულა და ასულა კიდეც.

ბანგურიანი ძნელად დასაძლევი მწვერვალი არ არის. ახალბედა მთამსვლელები გამოცდილების მეგზურობითა და რჩევა-კარნახით ადიან მასზე, მაგრამ აფისა და მისი დეიდაშვილებისთვის ბანგურიანი მაშინ ნამდვილი ევერესტი იყო.

იმ თავის პირველ ევერესტზე გზად მიმავალს ახსენდებოდა უფროსების ნაამბობი, თქმულება მამაც მონადირესა და პირველ სვან მთამსვლელ ბეთქილზე, რომელიც ღალატისთვის ნადირობის ქალღმერთ დალის თეთნულდის ფრიალოებზე სასიკვდილოდ გაუმეტებია;

აფის ახსენდებოდა ხალხური გადმოცემა მურათი კიბოლანზეც, რომელიც უცხოელ მთამსვლელებს 1903 წელს მეგზურად გაჰყოლია უშბაზე და მათთან ერთად მწვერვალზეც ასულა. კიბოლანი მეორედაც ასულა უშბაზე, მაგრამ იქიდან დაბრუნებული აღარავის უნახავს.

ბანგურიანისკენ მიმავალს გაახსენდა სახელგანთქმული ბიძამისი, ილიკო გაბლიანი, რომელიც 1961 წელს შორეული ტიან-შანის მთებში მრისხანე მწვერვალ პობედაზე სხვა ქართველ მთამსვლელებთან ერთად პირველი ავიდა, მაგრამ ჩამოსვლისას დაიღუპა და თითქმის 7000 მეტრის სიმაღლეზე სამუდამო სასუფეველში, ყინულის სამეფოში დარჩა;

გაახსენდა ბიძამისის მეგობრები ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე, რომლებიც იმავე ექსპედიციის დღეებში პობედადან გადმოიჩეხნენ...

ამგვარმა მოგონებებმა აფის სული აუფორიაქა. ისედაც გამალებული გულის ბაგა-ბუგი უფრო გაუხშირდა, მაგრამ ოცნების მიღწევის სურვილით შიშს მოერია...

ონავარი ბავშვების „საქმენი საგმირონი“ რამდენიმე დღის მერე ლამის მთელმა მესტიამ გაიგო. აფის მშობლებს თავდაპირველად გული შექანებიათ, მაგრამ მერე მამამისს მხრები უფრო გაუშლია და თავი აუწევია, ოღონდ შვილი არც შეუქია და არც გაუკიცხავს.

— იმ ასვლის მერე მთამსვლელობა საბოლოოდ გადავწყვიტე, მაგრამ რვა წელიწადი ოცნებაში გავატარე. მივდევდი ჭიდაობას, კრივს, სათხილამურო სპორტს. მერე ქუთაისში სახელგანთქმული მთამსვლელი შალვა მარგიანი და უშბაზე დაღუპული დიდებული ალპინისტი მურად ჭიჭინაძე გავიცანი. სწორედ მათ დამაყენეს მთამსვლურ გზაზე. ჯერ შოვში წავედი ალპინიადაზე, მერე კი მთამსვლელთა ბანაკში მოვხვდი, — გაიხსენა თავისი პირველი ალპინისტური ნაბიჯები აფი გიგანმა.

მას მერე მრავალი მწვერვალი დალაშქრა ჯერ კავკასიონზე, მერე პამირსა და ტიან-შანზე. ავიდა ყოფილი სსრ კავშირის შვიდიათასიან მწვერვალებზე: კომუნიზმის, ლენინის, კორჟენევსკაიას, პობედასა და ხან თენგრის პიკებზე, რისთვისაც „თოვლის ჯიქის“ ტიტული დაიმსახურა; 1995 წელს პირველი ქართული ჰიმალაური ექსპედიციის წევრებთან ერთად თავის პირველ რვაათასიან დჰაულაგირზე ავიდა.

ამ ლაშქრობებიდან ყველაზე მეტად ევერესტთან ერთად ეამაყება კავკასიონზე მწვერვალ ტაცარის ჩრდილოეთის კედლით ასვლა და მაზერ-უშბა-ჩატინის ტრავერსი...

აფისთვის დაუვიწყარია მწვერვალ პობედაზე ორივე ასვლა. ყველაზე ჩრდილოეთით აღმართულ ამ პიკზე ერთი ასვლაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი მთამსვლელისთვის, მაგრამ აფისთვის პობედასთან შეხვედრა ორმაგად დასამახსოვრებელი იყო — მან ხომ იქ, ცასთან ახლოს ნახა ბიძამისის გვამი, რომელიც თანაგუნდელებსა და მეგობრებს კლდესა და ლოდს შორის ფრთხილად დაუსვენებიათ, რაკიღა მისი ჩამოსვენება მათ ძალებს აღემატებოდა. აფი აღმოჩნდა ილიკო გაბლიანის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ნათესავი, რომელმაც ტრაგიკულად აღსრულებული კაცის ცხედარი იხილა და იქ პანაშვიდიც თავისებურად გადაიხადა. აფი გიგანმა მწვერვალის ძირში, კლდეზე, სადაც სხვა დაღუპული მთამსვლელების მემორიალურ დაფებთან ერთად ილიკო გაბლიანის, ჯუმბერ მეძმარიაშვილისა და თეიმურაზ კუხიანიძის ქართულ-რუსულად ამოტვიფრული მემორიალური დაფაცაა, სანთლები აანთო და მათი ხსოვნის ჭიქაც წაუქცია.

თავად აფი გიგანიც თავის ფათერაკიან გზაზე არაერთხელ ახლოს იყო ხიფათთან, მაგრამ ყველაზე ახლოს სიკვდილს თვალებში სწორედ პობედაზე ჩახედა.

— მაშინ, 1992 წელს ტიან-შანზე საერთაშორისო ბანაკში ვიყავი ინსტრუქტორად. ნაპრალებით დახეთქილ დიკის ყინვარზე ერთ თოკში ჩაბმული ორნი მივდიოდით. ერთ მონაკვეთზე ნაპრალი აღარ ჩანდა და ერთმანეთის დაუცველად, დანდობილად გავუყევით გზას. მოულოდნელად ფეხქვეშ თოვლი გამომეცალა. დახურული, ჭასავით ნაპრალი იყო, ქვემოთ კი წყალი იდგა. იქამდე რვა მეტრამდე ვიფრინე და მძიმედ დატვირთული ბომბვიით წყალში ჩავვარდი, მე კი ცურვა არ ვიცოდი. ბედის ირონია იყო, აბა რა, მთამსვლელი კაცი მთაში მთამსვლელის სიკვდილით კი არა, წყალში ვიღუპებოდი. მაგრამ მაშინ არც ამაზე მიფიქრია და ვერც შიში მოვასწარი. წყალში ღრმად ჩავარდნილი თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ შურდულივით ისევ ზემოთ ამომტყორცნა და მეც კატასავით ხელ-ფეხ გაფარჩხული ყინულის ჭაში, წყლის ზედაპირის ზემოთ გავიჭედ-დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. ყინულივით ცივ წყალში გათოშილი, ცხადია, გზას ვეღარც ზემოთ გავაგრძელებდი, ვეღარც ქვემოთ. ამიტომ სასწრაფოდ კარავი გავშალეთ, პრიმუსი ავანთეთ და ჩემი გალუმპული სამოსი და საძილე ტომარა დაღამებამდე გავაშრეთ, — გვიამბო აფიმ.

მაგრამ მას არც ამ თავის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო თავგადასავლისა, როცა ჭაში იყო ჩავარდნილი, არ უფიქრია, მორჩა, ამით ვამთავრებ მთამსვლელობასო. ეგ კი არა, დილით ისევ მწვერვალისკენ გზას გაუდგა და მესამე დღეს თავი პობედაზე ამოყო.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**ბენო ქაშაკაშვილის ფოტოები**



აფი გიგანმა მწვერვალ პობედას ძირში ბიძამისის ილიკო გაბლიანის, ჯუმბერ მეძმარიაშვილისა და თეიმურაზ კუხიანიძის მემორიალურ დაფასთან ერთი ბოთლი ღვინო დადგა და მათი ხსოვნისაც შესვა

REUTERS ბორდოდან

ფუი, ეშმაკს, ტური მშვიდობიანად სრულდება

# 99 LE TOUR DE FRANCE პარიზი ახლოვდება

**ბელგიელმა** ტომ სტეელსმა თავისი უპირველესი მეტოქის, იტალიელი მარიო ჩიპოლინის არყოფნით („ჩიპო“ „ტურს“ პირველივე მთიანი ეტაპის შემდეგ დაემშვიდობა) ისარგებლა და მესამედ მოიგო სპრინტერული ეტაპი. ისე, „მაპეის“ წევრმა ფინიშის ხაზი პირველმა მეოთხედ გადაკვეთა, მაგრამ მეექვსე ეტაპზე მას არასპორტული საქციელისთვის (იან სვორადას გზა სახიფათოდ ჩაუკეტა) დისკვალიფიკაცია მისცეს და გამარჯვებულად მეორე ადგილზე გასული... ჩიპოლინი გამოცხადდა.

სტეელსს თავისი ჩქარონსული შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება ალპების შემდეგ პირველად მიეცა და მანაც საკმაოდ იოლად დაჯაბნა სპრინტში ავსტრალიელი რობი მაკიკენი და გერმანელი ერიკ ზაბელი. „ტელეკომის“ წევრი წლევანდელ „ტურზე“ ძალიან უიღბლოა, სპრინტების დიდოსტატად აღიარებულს ჯერ ერთი გამარჯვებაც ვერ მოუპოვებია, არადა, ამის შესაძლებლობა ბევრჯერ ჰქონდა.

„გასულ წელს ბორდოში არ გამოგვივლია. ეს ეტაპი ჩემი სტილის მრბოლებისთვის კლასიკურია და ძალიან გამიხარდა მისი მოგება. იმედი მაქვს, პარიზში კარგად გამოვალ, რადგან შანზ-ელიზეს ავენიუზე წარმატების მიღწევა, ალბათ, ყველაზე პრესტიჟულია“ — განაცხადა სტეელსმა, რომელსაც შარშანდელი „ტურის“ ბოლო ეტაპი მოუგია.

ზაბელს კი ბორდოში ზედიზედ მესამედ უნდოდა გამარჯვება, რითიც იგი თავისი სპორტული დირექტორის, ვალტერ გოდეფროოტის რეკორდს გაიმეორებდა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, გერმანელს კოზი ნაცარში ჩაუვარდა. არადა, „ტელეკომის“ წევრებმა ბოლო კილომეტრებზე უდიდესი სამუშაო შეასრულეს, რათა თავიანთი ლიდერი ფინიშს საუკეთესო პოზიციაში მიახლოებოდა, მაგრამ ბაზელმა მთების შემდეგ, ეტყობა, ძალების სრულად აღდგენა ვერ მოახერხა. მას ორი წლის წინანდელი პოს ეტაპის შემდეგ „ტურ დე ტრანსზე“ ველარ უმარჯვია და დღეს ყოველნაირად შეეცდება, ფუტუროსკოპში ნავსი გატეხოს.

„დიდად არ გამჭირვებია, რადგან ძირითად სამუშაოს „ტელეკომი“ ასრულებდა და მეც ზაბელის უკან მშვიდად ველოდი ჩემს მომენტს. ამ გამარჯვებას პაველ ტონკოვს ვუძღვნი“ — თქვა სტეელსმა, რომლის რუსი თანაგუნდელიც გუშინ სტარტზე ვერ გამოვიდა და შესაბამისად შეჯიბრსაც გამოეთიშა.

საფინიშო სპრინტში მონაწილეობა ვერ მიიღო ავსტრალიელმა პეპელამ, სტიუარტ ოგრედიმ, რომელიც 1,5 კილომეტრით ადრე რამდენიმე სხვა მრბოლთან ერთად დაეცა. ამის მიზეზი ვიღაც მაყურებელი იყო. მან სპორტსმენებს რაღაც სითხე შეასხა. მათ თვალები აეწვათ და შეუძლოდ შეიქნენ. „ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სუნთქვა აღარ შემეძლო, ვერც ველარაფერს ვხედავდი. ხუთიოდ წუთი მაინც დამჭირდა აზრზე მოსასვლელად“ — თქვა ერთ-ერთმა დაზარალებულმა.

საერთო ჩათვლაში საინტერესო ცვლილებები არ მომხდარა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეჩვიდმეტე ეტაპი

მურანი — ბორდო, 200 კმ

1 ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი) — 4 სთ 22 წთ 29 წმ
2 რობი მაკივენი (ავსტრალია, რაბობანკი)
3 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
4 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, ჰოსტალი)
5 სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი)
6 ლარს მიკიელსენი (დანია, ფრანსეზ დე ფუ)
7 პასკალ შანტორი (საფრანგეთი, კაზინო)
8 ჯანპაოლო მონდინი (იტალია, კანტინა ტოლო)
9 კრისტოფ კაპელი (საფრანგეთი, ბიგმატი)
10 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, კაზინო) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1 ლანს არმსტრონგი (აშშ, ჰოსტალი) — 82 სთ 25 წთ 30 წმ
2 ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — +6 წთ 15 წმ
3 ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +7 წთ 28 წმ
4 ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო) — +10 წთ 30 წმ
5 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) — +11 წთ 40 წმ
6 დანიელე ნარდელო (იტალია, მაპეი) — +13 წთ 19 წმ
7 ანხელ კასერო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +13 წთ 34 წმ
8 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +14 წთ 29 წმ
9 ვლადიმირ ბელი (იტალია, ფესტინა) — +15 წთ 14 წმ
10 კურტ ვან დე ვოუვერი (ბელგია, ლოტო) — +18 წთ 27 წმ

ერგოვნული ბიბლიოთეკა
ამიენი
ბელფორი
ბასელ-სანქტ-ჟიგოლფ
ტიერვილი
პარიზი
ვეცი
ბარაპეონი
ლაპალი
ბორდეაუ
ნანტი
ბლუა
სენ ნაზერი
ვენტრეკეი
პაუ
პაუ დე ფუ
ფუტუროსკოპი
ბრან ბორანი
ბორდო
ბიარიცი
სენ ბალეიე
ბაიონა
სენ ფლუ
ალეი
ბასტრი
ბანიერ დე ლუზონი
ბეარ დ ბიგორი
ლურდი
ტარბი
ბეზიერ
ბეზიერ
ალეი
ბასტრი
ბეარ
ბეარ
ბეარ

# უცნაური და გაუგებარი ამბები, რომლებიც მარტო ჩვენში შეიძლება მოხდეს

## ლას ვეგასში ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილს ამერიკის საელჩომ ვიზა არ მისცა

ბადრი ბერიძის ფოტო

## სპორტის დეპარტამენტისგან შარშანდელი პრემიის მოლოდინე ჩვენი მოჭადრაკე ქალები ბოიკოტით იმუქრებიან

**პრობლემები** მოსძალებია ქართულ ჭადრაკს. პრობლემები პირადული და საზოგადო. ზოგი მათგანი საერთოა, სპორტის ყველა სახეობისთვის ჩვეული (მაგალითად, ფინანსური), ზოგიც — კერძო. სწორედ მათზე სასაუბროდ გუშინ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა პრესკონფერენცია გამართა. მან საზოგადოების სამსჯავროზე სამი საკითხი გამოიტანა: აშშ-ის უარი მისთვის ქვეყანაში შესასვლელი ვიზის მიცემაზე, ფედერაციის დაფინანსება და ბათუმში ჩასატარებელი ევროპის გუნდური ჩემპიონატისთვის მზადება.

30 ივლისს აშშ-ის ქალაქ ლას ვეგასში ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. იქ მამაკაცთაგან აზმაიფარაშვილსაც უნდა ეასპარეზამაგრამ საქართველოში ამერიკის საელჩომ ვიზის მიცემაზე უარი უთხრა. მათ იგი ქვეყნისთვის არასასურველ პიროვნებად მიუნიევიათ და ეს ცნობა კომპიუტერის ქსელშიც გაუვრცელებიათ.

ამერიკის საელჩოში აზმაიფარაშვილის შერისხვის ზუსტ მიზეზს ვერ ასახელებენ, თუმც, იმედოვნებენ, რომ ყველაფერი გაუგებრობის ბრალია და სიმართლე მალე გაირკვევა. ბატონ ზურაბსაც ლოდინისა და უდანაშაულობის მტკიცების მეტი რა დარჩენია. თავად ეჭვობს, რომ გაუგებრობა შეიძლება იმ პერიოდს უკავშირდებოდეს, როცა მავანნი ბოროტად სარგებლობდნენ ფედერაციაში არსებული განუკითხობით.

ფედერაციის წლიური ბიუჯეტი 140 ათასი ლარია, ოღონდ ეს თანხა მათ პირადი კონტაქტებით გამოაყოფინეს ფინანსთა სამინისტრო. ის დეპარტამენტის ბიუჯეტში არ შედის. ამისთვის მთავრობას კი ემადლიერებიან, მაგრამ წუხან, რომ დღემდე მხოლოდ 55 ათასი ლარი აქვთ მიღებული. მათ ეეჭვებათ, რომ ამ ზუთ თვეში დარჩენილ თანხას მიიღებენ. ისინი მიულებელ შარშანდელ საპრემიო ფონდზეც წუხან, რაც 52 ათას ლარს შეადგენს. შარშანდელ საჭადრაკო ოლიმპიადაზე წასვლის წინ სპორტის დეპარტამენტი ქალებს სამეულში, ხოლო კაცებს შვიდეულში მოხვედრისთვის პრემიებს შეპირდა. ორივე გუნდმა საპრემიოდაკანონული დაიკავა, მაგრამ დეპარტამენტმა სიტყვა გატეხა. მოჭადრაკეები ამ თანხასაც (რაც ოთხეულზე 200 ათასი ლარს შეადგენს) ითხოვენ, მაგრამ დღემდე უშედეგოდ. მათ სურთ, გადახდა ნაწილ-ნაწილ მაინც დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბათუმში დაგეგმილი ევროპის გუნდური პირველობის ბოიკოტით იმუქრებიან.

რაც შეეხება თავად ამ ევროპის ჩემპიონატს, ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად აზმაიფარაშვილმა განცხადებით მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს, მანც შესაბამის სამინისტროებს (საგარეო და შინაგან საქმეთა, ფინანსთა და სხვებს) დაავალა მდგომარეობის შესწავლა და შეძლებისდაგვარად დახმარება, მაგრამ მათგან საგარანტიო წერილები პრეზიდენტთან (ცხადია, ფედერაციაშიც) ჯერ არ მისულა. აზმაიფარაშვილმა ამ პრობლემის მოგვარების დაჩქარება კიდევ ერთხელ ითხოვა. თავის დროზე პრეზიდენტს ამ ჩემპიონატისთვის თავისი ფონდიდან თანხების გაცემა ფინანსთა სამინისტროსთვის დაუვალებია, ის კი უარობს. მიზეზად უფულობას ასახელებს.

დაბოლოს, აზმაიფარაშვილმა კიდევ ერთ პრესკონფერენციაზე მიგვიწვია საღღეისოდ, ისევ ჭადრაკის სასახლეში. მას ამჯერად მაია ჩიბურდანიძე გამართავს და ფიდეს სამსოფლიოსჩემპიონატო სამზადისს მიუძღვნის.

**ირაკლი თავაძე**



# ლუისის სკოლა

## ქართველი მასწავლებლების უელსელი მასწავლებელი

**სწორედ** ასე შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც გუშინ რაგბის კავშირში მისულებს დაგვხვდა. დამდგარა ეს უელსელი როჯერ ლუისი და სამი საათის განმავლობაში უხსნია ქაველი მწვრთნელებისთვის, რა და როგორ ეკეთებინათ. უელსის რაგბის კავშირის მწვრთნელთა საბჭოს წევრი როჯერ ლუისი თბილისში ორი დღის წინ ჩამოვიდა ქართველი კოლეგებისთვის სემინარების ჩასატარებლად. გარდა ამისა, იგი დააკვირდება ჩვენი მწვრთნელების მუშაობას და საჭიროებისამებრ კორექტივებსაც შეიტანს მათ საქმიანობაში. ჩამოსვლის დღეს მას საშუალება მიეცა, დასწრებოდა „ლოკომოტივის", „ზორდასა" და ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშებს.

როგორც თავად განაცხადა, იგი გაუოცებია ჩვენებური რაგბის მაღალ დონეს. თუმცა ჩვენი მწვრთნელების მუშაობაში ხარვეზებიც შეუნიშნავს და უთქვამს, ამის გამოსწორება უცხოეთში სტაჟირებით შეიძლებაო. გუშინ კი, სემინარის დამთავრების შემდეგ, ლუისს საქართველოს ჩემპიონატის ასკ — უნივერსიტეტის მატჩის განსჯა სთხოვეს. თავიდან კი იუარა სტუმარმა, მაგრამ რომ დაამშვიდეს, ნუ გეშინია, ბიჭები გაფრთხილებულნი არიან და ზედმეტად ხმის ამომღები არავინ არისო, დათანხმდა...



გურამ დოლიძეკაშვილის ფოტო

როჯერ ლუისის პირველი გაკვეთილი

# ზრდილი თამაში თარჯიმნის თანხლებით

**თბილისი**
22 ივლისი

**ასკ 38:29 (19:7) უნივერსიტეტი**

ასკ: მაისურაძე, ლიქოკელი, შენგელია, ჭელიძე (ქავთარაშვილი), მათიაშვილი, სვანიძე (ჯარმელაშვილი), მინაშვილი (უჩავა), გაფრინდაშვილი (კაპანაძე), აბუსერიძე, კიკნაძე, კოდუა (ქათამაძე), ზ. კაპანაძე, საკანდელიძე, ზაქარიაძე, ურჯუკაშვილი

6 ლ — ჭელიძე, მათიაშვილი, კოდუა, უჩავა, გ. კაპანაძე, ურჯუკაშვილი

4 გ — ურჯუკაშვილი (4)

უნივერსიტეტი: სანაძე (რატიანიძე), ალიბეგაშვილი (კობიაშვილი), ბეჟიტაშვილი (კუთარაშვილი), ლაბაძე (ავსაჯანაშვილი), ბიძინაშვილი, თავაძე, კოკაია (მჭედლიშვილი), ზესაშვილი (მეგავნაძე), ჭუმბურიძე, კიზირია, ტუჩიშვილი, სვანიძე, ბოლღაშვილი, ელოშვილი, ქირიკაშვილი

3 ლ — კიზირია (2), მეგავნაძე

3 გ — ჭუმბურიძე (3)

მსაჯი: ჯ. ლუისი

მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

**შეხვედრის** განმავლობაში მობურთალებს მსაჯისთვის უხეში არაფერი უკადრებიათ, თუმცა ერომანეთი არ დაზოგეს. უელსელი ურიგოდ ნამდვილად არ გარჯილა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, პროფესიონალი მსაჯი რომ არ იყო. აკი თქვა კიდეც მატჩის დაწყებამდე, არ ვარ მსაჯი და რას მერჩითო, მაგრამ ვინ უგდო ყური, ახლა ასეა საჭიროო. მეტი რა გზა ჰქონდა, იმსაჯა და შეხვედრის ბოლოს სტუდენტთა მწვრთნელ დავით კილასონიასგან კომპლიმენტიც მიიღო — ყოჩაღ, ჩემო ლუისო. ერთი ეგ იყო, მსაჯსა და მოთამაშეებს შორის ენობრივი ბარიერი არსებობდა და ჟესტებით რომ ვერაფერს აგებინებდა, მოედანზე თავის თარჯიმანს, ყოფილ მორაგბე მიშა ხარატს უხმობდა დასახმარებლად. მატჩის განმავლობაში მრავლად იყო მომენტები, როცა სტუმარი ისეთ პოზიციებს ირჩევდა, ქართველი მსაჯებისთვის რომ არ შეგვიმჩნევია.

თავად მატჩს რაც შეეხება, ფაქტია, რომ ოთხეულში მოსახვედრად მებრძოლი ასკ ამ შეხვედრის მოგებას პრემიალური ქულის მოპოვებით შეეცდებოდა. ასეც მოხდა, თუმც პრემიალური ქულის მოპოვება სტუდენტებმაც შეძლეს. მატჩამდე სტუმარს ქართული რაგბის დონეზე რომ შეეკითხეთ, მატჩის შემდეგ ვილაპარაკოთო, გვიპასუხა. ასეც მოხდა, მაგრამ თამაშის შემხედვარეს ამის სურვილი ნამდვილად არ მქონდა. რატომ?

არმიელთა ექვს ლელოს სტუდენტებმა სამით უპასუხეს. ანგარიშიდან და ლელოების რაოდენობიდან გამომდინარე, უინტერესო თამაში თითქოს არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ თითქოს. ვინ რას აკეთებდა მინდორზე, არავინ უწყოდა, არც თავად მობურთალებმა, არც მწვრთნელებმა. აკი არმიელთა დამრიგებელ ლევან მგელაძეს გაოცებისგან ლამის თვალები შუბლზე აუვიდა — ამისთანა რამ არ მისწავლებია და რას აკეთებენო. რასაც ეუბნებოდა მწვრთნელი, ერთი-ორი ეპიზოდის გარდა, მოთამაშეებმა ყველაფერი უკუღმა გააკეთეს. ამაზე უკეთესი მდგომარეობა არც უნივერსიტეტში იყო. განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ სტუდენტთა მწვრთნელები — დავით კილასონია და გურამ მოდებაძე როგორღაც ახერხებდნენ უარყოფითი ემოციების შეკავებას და მოთამაშეებისადმი უკმაყოფილებას მგელაძისნაირად არ გამოხატავდნენ. დისციპლინა რომ მოიკოჭლებს ქართულ რაგბიში (და არა მარტო რაგბიში), უცხო არავისთვისაა, მაგრამ მატჩის დაწყებამდე ერთმა პატივცემულმა პიროვნებამ თქვა, იქნებ სტუმრის მაინც მოერიდოთო. არაფერი ამის მაგვარი. მოთამაშეთა შეცვლის პროცესი კი ცალკე სალაპარაკო თემაა. ყოველთვის არა (ღმერთმა დაგვიფაროს), მაგრამ ხდება ხოლმე, რომ მოთამაშეები მწვრთნელს უარს ეუბნებიან მოედანზე გასვლაზე. მიზეზები არ ელივათ. ჰოდა, გუშინაც ერთ ეპიზოდში მსაჯი ლამის ხუთი წუთი უცდიდა, დათანხმდებოდა თუ არა ერთ-ერთი მობურთალი მწვრთნელს და შეიდოდა სათამაშოდ. შეცვლა შეცვლად, მაგრამ ყველაფერი ეს მოედანზე მოხდა და როცა მინდვრიდან გასულმა შემოსულს თავის მაისურა დაუტოვა, ამაზე სულ გაგვიგიჟდა ლუისი.

ჰოდა, რა გასაკვირია, ყოველივე ამის შემხედვარე ჩვენს სტუმართან ქართული რაგბის დონეზე საუბრის სურვილი არ მქონდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ისე კი, ჩვენი სტუმარი საკმაოდ დიპლომატიური აღმოჩნდა, რამაც საქმე შედარებით გამიიოლა:

— ვფიქრობ, საკმაოდ ნორმალური თამაში იყო, რა თქმა უნდა, არა მაღალი კლასის, მაგრამ არც დაბალის. მსაჯობაც გამიადვილდა. ორივე გუნდიდან გამოირჩეოდნენ მორკინალები, უკანახაზელები კი საერთოდ არ ჩანდნენ. ეს, ალბათ, ყველაზე დიდი ნაკლია, თუმც ამის გამოსწორება შეიძლება. მორკინალებმა საკმაოდ ბევრი იციან, მაგრამ მოედნის ხედვა არა აქვთ. ამასაც სჭირდება გამოსწორება. მაგრამ ეს ხარვეზი ყველა გუნდში შეიმჩნევა, უბრალოდ, აქ შედარებით მეტია. თან ეს ხომ ლიდერთა მატჩი არ იყო. დარწმუნებული ვარ, ის უფრო სიანტერესო სანახავი და ძნელი განსასჯელი იქნება.

აი, ასეთი გახლდათ გუშინდელი მატჩის როჯერ ლუისისეული შეფასება.

**პაატა თოთაძე**

## კაპიტანო დალალიო, შენ არა ხარ ალალიო

**ბოლო** მოელო ჭორებს ლოურენს დალალიოს ინგლისის ნაკრებში კაპიტნად დაბრუნების შესახებ. რამდენიმე თვის წინ ინგლისის მორაგბეთა ნაკრების აწ უკვე ყოფილი კაპიტანი ნარკოტიკების ხმარებასა და გასაღებაში ამხილეს. მართალია, დალალიომ ნარკომანობა აღიარა, მაგრამ მის გავრცელებას უარობს. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით სამართალდამცავები გამოძიებას აწარმოებენ, მანამდე კი ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა დაასახელა მორაგბე, ვინც გუნდს მსოფლიოს თასზე უკაპიტნებს — მარტინ ჯონსონი, რომელიც გუშინწინ ოფიციალურად გახდა ინგლისის ნაკრების კაპიტანი. ინგლისელთა მწვრთნელი ძალიან კმაყოფილია ჯონსონით და აცხადებს, რომ იგი არაფრით ჩამოუვარდება ლოურენს დალალიოს. რაც მთავარია, მარტინს შეუძლია გუნდის მობილიზება, კარგად კითხულობს თამაშს და იცის, როდის რა მოიმოქმედოსო.



XXIV European swimming championship — Eni — ISTANBUL

# სინქრონულად და მშვიდობიანად

**გუშინ** საწყლოსნო სახეობების ევროპის ჩემპიონატზე სტამბოლის აუზში პირველად სინქრონულად მოცურავენი ჩახტნენ და ერთმანეთს ინდივიდუალური პროგრამით გაეჯიბრნენ. ჯერჯერობით ოქროს მედალს რუსი ოლგა ბრუსნიკინა უფრო მიუახლოვდა, თუმცა არც ჩვენ ძველ ნაცნობს, ერთ დროს საქართველოს მოქალაქეს, ახლა კი ბერძენ ქრისტინა ფალასინიდის დაუკარგავს ჩემპიონობის შანსი. თურქეთიდან იმასაც იტყობინებიან, ტურნირის პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარაო, თურმე აუზის ახლოს ქურთი ტერორისტებისთვის თვალი არავის მოუკრავს.

REUTERS სტამბოლიდან

ოლგა ბრუსნიკინა

## პახალინას ციტრამონმა თავი ძალიან აატკივა

**ტრამპლინიდან** წყალში მხტომელი რუსი იულია პახალინა, სტამბოლში გუშინ დაწყებულ კონტინენტის პირველობაზე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის რანგში რომ ჩავიდა, ჩემპიონატიდან გამოისტუმრეს. პახალინამ ლამის ზედ სტარტზე შეიტყო, რომ თურმე მის სისხლში მოჭარბებული ოდენობით კოფეინი აღმოუჩენიათ. იულია, მეტი რომ არ შეიძლება, ისე აღშფოთდა, თავი ამტკივდა და ორი ტაბლეტი ციტრამონი დავლიე მხოლოდო, მაგრამ ამან არ უშველა და ახლა სამი თვე უსაქმოდ ჯდომა მოუწევს. მის ნაცვლად სტამბოლში განთქმულ ირინა ლაშკოსთან ერთად ვერა ილინა ისპარეზებს.

**დავით გულუა**

REUTERS ვინიპეგიდან

# ᲪᲝᲢᲐᲪ ᲓᲐ...

*დღეს კი უეჭველად გაიხსნება მეცამეტე პანამერიკული თამაშები და დიდი სპორტული ღონისძიებისთვის მზადების ამსახველ ფოტოთა ბეჭდვასაც დავასრულებთ. კანადის პროვინცია მანიტობა და მისი დედაქალაქი ვინიპეგი მოუთმენლად ელიან საღამოს. ვინიპეგელი მებაღე დენ დაფი ყვავილებით რთავს შეჯიბრების ლოგოს, რომელიც ვინიპეგის პროვინციული ადმინისტრაციის წინ გამოუფენია.*

## ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

1. e2-e4 c7-c5 2. ♘g1-f3 d7-d6 3. ♗f1-b5+ ♗c8-d7 4. ♗b5:d7+ ♕d8:d7 5. c2-c4 ♘b8-c6 6. ♘b1-c3 ♘g8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. ♘f3-d4 ♗g7 10. ♘d4-e2 ♕d7-e6 11. ♘c3-d5 ♕e6:e4 12. ♘d5-c7+ ♔e8-d7 13. ♘c7:a8 ♕e4:c4 14. ♘a8-b6+ a7:b6 15. ♘b1-c3 ♖h8-a8 16. a2-a4





# ᲐᲤᲔᲠᲘᲡᲒ!

ᲔᲡ გზადშემდგარი ბიჭები ძმები სეფაკო (მარცხნივ) და სერჯიო (მარჯვნივ) მოტსოენენგები არიან. ხელობად მარათონის რბენა აქვთ და სერჯიოს პიტერმარიცბურგ-დურბანის სამხრეთაფრიკული მარათონიც მოუგია, მაგრამ იოჰანესბურგის „კომრად მარათონზე“ კი ძმებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი თაღლითურად ენაცვლებოდნენ და ასვენებდნენ ერთმანეთს, ერთნაირად ეცვათ და ნომრებიც კი ერთნაირი ეკრათ მუცელზე. ამით ისინი გზას უიოლებდნენ და გამარჯვების შანსსაც უზრდიდნენ ერთურთსაც. მაგრამ თაღლითობასაც ჭკუა უნდა — საათი ერთს მარჯვენა ხელზე ეკეთა, მეორეს მარცხენაზე და მსაჯებს ეს არ გამოეპარათ. საკითხავი კი ის არის, დურბანში სერჯიომ მოიგო, თუ სეფაკომ?

# ᲚᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ

ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲘᲡ შტატში, შუა ორლანდოში, იქ სადაც თამაშობს მოხდენილი გუნდი „ორლანდო მეჯიკი“, ენბიეის ქსელის ახალი რესტორანი გაიხსნა. ამ რესტორანში კალათბურთის თავგადაკლული ქომაგები და უბრალო მოქალაქენი დანაყრდებიან. „ენბიეი სითიდ“ წოდებულ საზკვების ობიექტს კი მთელს ამერიკაში მოფენილ ტყუპისცალთაგან ერთი რამ გამოარჩევს: ორლანდოს რესტორანი პირველია, ენბიეის განთქმული ლოგო, ბურთიანი კაცი, რომ ბრინჯაოს ქანდაკებად ჩამოუსხამს და რესტორანი დაუმშვენებია. ასე რომ, თუ მოხვდებით ორლანდოში — შეიარეთ, ლოგოკაცსაც ნახავთ და კარგადაც ისადილებთ. მუჟუჟიც ქონიათო...

REUTERS ორლანდოდან

REUTERS მილანიდან

# ᲛᲘᲚᲐᲜᲘ ᲮᲣᲠᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ სკუდეტოს მომგები „მილანი“ ახალი სეზონისთვის ემზადება, თუმცა მხოლოდ ვარჯიშს არ კმარობს და ხმაურიან და აუცილებელ შეხვედრებსაც მართავს. საკლუბო პრეზენტაციაზე განთქმული ამერიკელი ასტრონავტი (ერთ დროს მთვარეზე ფეხდადგმული) იუჯინ კერნანი (მარჯვნივ) და მილანელთა მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ერთად ჩამსხდარან მინდვრის მანქანაში და „სან სიროს“ გაზონზე დასეირნობენ.


## ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

**მთავარი რედაქტორი** ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲣᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
**დირექტორი** ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
**რედაქტორი** ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
**ტექნიკური რედაქტორი** ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
**კალათბურთის განყოფილების გამგე** ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ჭუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:** ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
**ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:** ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ:** 39 48 29
**ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ** sarbieli@iberiapac.ge
**ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ** http://www.opentext.org.ge/sarbieli